პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

ოთხშაბათი, 21 ივლისი. 1948 წ. № 144 (8188). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

განვამტკიცოთ დეპუტატის კავშირი ამომრჩევლებთან — მოწინავე (1-ლი გვერდი).
იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დეპეშა ამხანაგ სტალინისადმი (1-ლი გვერდი).
წლიური გეგმა — 7 ნოემბრისათვის (1-ლი გვერდი).
„გმირი დედის" საპატიო წოდების მინიჭება მრავალშვილიანი დედებისათვის (1-ლი გვერდი).
ლ. ებანოიძე — მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო უძლეველია (მე-2 გვერდი).
ტ. თოდრაძე — მახარაძელები ჩაის მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში (მე-3 გვერდი).
საქართველოს საქალაქო და რაიონული [illegible] რესპუბლიკური დათვალიერება (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

განვამტკიცოთ დეპუტატის კავშირი ამომრჩევლებთან

საბჭოთა ხალხმა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებში აირჩია ლენინ-სტალინის საქმისათვის უსაზღვროდ ერთგული ადამიანები, სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები, რომელთაც საქმით დაამტკიცეს კომუნიზმის საკაცობრიო იდეების გამარჯვებისათვის მზადყოფნა და თავდადება.

არჩევნების დროს დეპუტატობის თავიანთ კანდიდატებს რომ აძლევდნენ ხმას, ამომრჩევლებს ღრმად სწამდათ, რომ დეპუტატები ჭეშმარიტად გაამართლებდნენ მათს მაღალ ნდობას, მუდამ იდგებოდნენ ხალხის მიერ მიცემული განაწესის შესრულებისათვის ბრძოლის ავანგარდში.

ამომრჩევლების მოვალეობა და უფლება, როგორც ამხანაგი სტალინი ურჩევდა მათ, მდგომარეობს იმაში, რომ „მათ მუდამ კონტროლქვეშ იყოლიონ თავისი დეპუტატები და რომ ისინი ჩააგონებდნენ მათ არავითარ შემთხვევაში არ დაეშვნენ პოლიტიკური ობივატელების დონემდე, რომ ისინი — ამომრჩევლები ჩააგონებდნენ თავის დეპუტატებს — იყვნენ ისეთნი, როგორიც იყო დიდი ლენინი".

დეპუტატებისა და ამომრჩევლების ასეთი ურთიერთობის განმტკიცების მძლავრი ფაქტორია დეპუტატის სისტემატური კავშირი თავის ამომრჩევლებთან. მშრომელები ყოველ ნაბიჯზე აკვირდებიან ადგილობრივი საბჭოების საქმიანობას. მათში მოწონებასა და აღფრთოვანებას იწვევს საბჭოს მიერ გატარებული ყოველი ღონისძიება, რაც მიმართულია საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის ამაღლებისა და მზარდი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ. არანაკლები სიხარულით ხვდებიან ამომრჩევლები საბჭოების მიერ მოპოვებულ წარმატებებს ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობის, საბინაო მშენებლობის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში. ამასთან ამომრჩევლები სრულებით ვერ ურიგდებიან საბჭოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს და სამართლიანად აკრიტიკებენ მათ, მოითხოვენ თავიანთი დეპუტატისაგან შემჩნეულ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ გამოსწორებას.

დეპუტატს მუდამ მტკიცე კავშირი უნდა ჰქონდეს თავის ამომრჩევლებთან. ის თავისი სადეპუტატო მოღვაწეობის ანგარიშით პერიოდულად უნდა წარსდგეს ხოლმე მათ წინაშე და საბჭოს საქმიანობის კურსში იყოლიოს ისინი.

არჩევნების განვლილ პერიოდში ადგილობრივი საბჭოების მრავალი დეპუტატი საანგარიშო მოხსენებით წარსდგა თავის ამომრჩეველთა წინაშე. დეპუტატის მოხსენების გამო გამართულ კამათში ამომრჩევლებმა მრავალი ნაკლი გამოავლინეს საბჭოების მუშაობაში და წამოაყენეს კონკრეტული წინადადებანი, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის. ამ რამდენიმე ხნის წინათ თბილისის ლენინის რაიონის საბჭოს დეპუტატი ამხ. ხიზანიშვილი შეხვდა თავის ამომრჩევლებს. დეპუტატმა დამსწრეთ უამბო როგორც თავის სადეპუტატო მოღვაწეობაზე, ისე ამომრჩეველთა განაწესის შესასრულებლად რაისაბჭოს მიერ გაწეულ მუშაობაზე. ამომრჩევლებმა თავიანთ სიტყვებში საბჭოს მუშაობის მრავალ ნაკლზე ილაპარაკეს და წამოაყენეს საქმიანი წინადადებანი საქალაქო მეურნეობის განვითარების, ვაჭრობის მოწესრიგების, ტრანსპორტის მოძრაობის გაუმჯობესებისა და მთელ რიგ სხვა აქტუალურ საკითხებზე. ამომრჩეველთა ამ წინადადებებს გულისხმიერად გამოეხმაურნენ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი, ლენინის რაისაბჭოს აღმასკომი, ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველო და სხვა ორგანიზაციები. დეპუტატ ხიზანიშვილის შეხვედრის დროს ამომრჩეველთა მიერ წამოყენებულ წინადადებათა განსახორციელებლად საქალაქო საბჭოს აღმასკომმა სათანადო ზომები მიიღო. ამის შედეგად ლენინის რაიონში შესამჩნევად გაუმჯობესდა ტრამვაის №№ 6, 8 და 12 მარშრუტების მიმოსვლა; ლენინის რაიონში ტაქსისა და ავტობუსების მოძრაობის აღდგენის საკითხი, რაზეც დეპუტატთან შეხვედრის დროს ილაპარაკეს ამომრჩევლებმა, დასმულ იქნა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს წინაშე, საბჭოს ქუჩაზე დამატებით გაიხსნა სასურსათო მაღაზია, მოეწყო კიოსკები რაიონის დასასვენებელ პარკებში, მოკლე ხანში დამატებით გაიხსნება ორი მაღაზია და სამკერვალო სახელოსნო. მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ლენინის რაიონში ტრამვაის შეუფერხებელი მოძრაობისათვის ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველომ.

ჩვენ აქ აღვნიშნეთ მხოლოდ ერთი დეპუტატის ამომრჩეველთა წინადადებანი. თუ საქალაქო საბჭოს დეპუტატთა შეხვედრებს ამომრჩევლებთან პერიოდულად ჩავატარებთ, გასაგებია, ამომრჩეველთა წინადადებანი გაცილებით მეტი და მრავალფეროვანი იქნება, რაც საქალაქო და რაიონული საბჭოების მუშაობის გრანდიოზულ პროგრამად გადაიქცევა.

სამწუხაროდ, ყველგან როდი აფასებენ დეპუტატის თავის ამომრჩევლებთან შეხვედრის უდიდეს მნიშვნელობას. შეიძლება ითქვას, ზოგიერთ საბჭოთა ხელმძღვანელ ამხანაგს ეშინია ასეთ შეხვედრის დროს გაშლილი კრიტიკისა. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, „რომ ორიოდე ათეულ ხელმძღვანელ ამხანაგთან ერთად ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებს ხედავს და ამჩნევს ასეულ ათასობით და მილიონობით მუშა, რომლებიც ააშკარავებენ ჩვენს შეცდომებს, ებმებიან მშენებლობის საერთო საქმეში და სახავენ საქმის გაუმჯობესების გზებს". საჭიროა სისტემატურად ვაწყობდეთ დეპუტატების შეხვედრებს ამომრჩევლებთან. ამ შეხვედრებზე ხელი უნდა შევუწყოთ საბჭოების მუშაობის ნაკლოვანებათა გამოვლინებას, გულისხმიერად ვეხმაურებოდეთ ამომრჩეველთა კრიტიკულ შენიშვნებს და მხარს ვუჭერდეთ მათს საქმიან წინადადებებს.

თბილისის საქალაქო საბჭოს მესამე სესიამ ამ დღეებში განიხილა ქალაქის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების 6 თვის შედეგები. სესიაზე აღინიშნა, რომ სერიოზულ ჩამორჩენას აქვს ადგილი ამ მხრივ, საბჭოების საბიუჯეტო მუდმივი კომისიები და დეპუტატები სუსტ მონაწილეობას იღებენ საფინანსო ორგანოების მუშაობაში. ამომრჩევლებთან დეპუტატების მტკიცე კავშირით უნდა მივაღწიოთ ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ფართო მასების აქტიურ მონაწილეობას ადგილობრივი საბჭოების მთელ საქმიანობაში. ამაში მდგომარეობს საბჭოთა დემოკრატიის ნამდვილი ხალხურობა.

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა სერიოზული წარმატებები მოიპოვეს მუშაობის ყველა დარგში. ხალხთა მასებთან მჭიდრო კავშირით ისინი კიდევ მეტ წარმატებებს მიაღწევენ საბჭოების მუშაობის შემდგომი ამაღლების, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაზე თავიანთი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საქმეში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

ბერლინის სურსათით მომარაგების შესახებ

გერმანიაში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის შეკითხვის გამო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო — გადასცეს გერმანიაში არსებული საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის განკარგულებაში სსრ კავშირის სახელმწიფო რეზერვებიდან, 100 ათასი ტონა ხორბალი და შესაბამისი რაოდენობით სხვა სასურსათო პროდუქტები ბერლინის მოსამარაგებლად, მისი დასავლეთი სექტორების ჩათვლით.

მორიგი გაწვევა სახელოსნო სასწავლებლებში

20 ივლისს ჩვენს ქვეყანაში იწყება ახალგაზრდობის მორიგი გაწვევა სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში.

საქდესის კორესპონდენტთან საუბარში სსრ კავშირის შრომითი რეზერვების მინისტრის მოადგილემ ამხ. ა. ფ. პუტინცევმა განაცხადა:

— სახელოსნო სასწავლებლებმა ახალგაზრდობის სიყვარული მოიხვეჭეს. ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი ოცნებობს, რომ საწარმოო კვალიფიკაცია მიიღოს შრომითი რეზერვების სისტემაში. ამას მოწმობენ ჯერ კიდევ გაწვევის დაწყებამდე სასწავლებლებსა და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებში შეტანილი განცხადებანი. ბევრ ოლქში განცხადებათა რაოდენობა მიღების გეგმას აღემატება. მაგალითად, ვორონეჟის ოლქში 3.600 ადგილზე უკვე 4.000-ზე მეტი განცხადებაა შეტანილი, კურსკის ოლქში 1.200 ადგილზე — 3.000 განცხადება და სხვ.

გაწვევა მოეწყობა სოფლისა და ქალაქის ახალგაზრდობაში. გაწვეულ იქნებიან 14-18 წლის ვაჟები და ქალები. ერთი თვის განმავლობაში მიღებულ იქნება 281 ათასი კაცი.

ახალი სასწავლო წლიდან ბევრ სახელოსნო სასწავლებელში დაიწყება საკოლმეურნეო ელექტროსადგურების სპეციალისტთა მომზადება. (საქდესი).

იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დეპეშა ამხანაგ სტალინისადმი

რომი, 19 ივლისი. (საქდესი). იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამხანაგ სტალინს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

„იოსებ სტალინს. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი. მოსკოვი. გადმოგცემთ რა უკანასკნელ უფრო დამაიმედებელ ცნობებს ამხანაგ ტოლიატის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მადლობას გიძღვნით თქვენ და თქვენი სახით სახელოვან ბოლშევიკურ პარტიას და გმირ საბჭოთა ხალხს ამხანაგ ტოლიატიზე თავდასხმის გამო ძმური სოლიდარობის გამოცხადებისა და ენერგიული პროტესტის გამოთქმისათვის. ამ თავდასხმას, რომელიც საზიზღარმა დაქირავებულმა მკვლელმა ჩაიდინა, კლერიკალური რეაქციის იმპერიალისტ სულისჩამდგმელთა და სოციალიზმის დეზერტირთა და მოღალატეთა დაღი აზის. მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადის მშრომელთა და მთელი გმირი საბჭოთა ხალხის სოლიდარობა, თქვენი ბოლშევიკური დარიგება იმის სტიმული იქნება ჩვენთვის, რომ გავაძლიეროთ და განვავითაროთ ბრძოლა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ერთიან საერთაშორისო ფრონტზე. ჩვენ მწვავედ განვიცდით გულისტკივილს არასაკმაო სიფხიზლისა და ჩვენი ბელადის არასაკმაო დაცვის გამო და დიდად ვწუხვართ. თქვენი სიტყვები გვეხმარება იმაში, რომ მწარე გამოცდილებიდან ყველა საჭირო გაკვეთილი გამოვიტანოთ. იტალიელმა ხალხმა უკვე გამოსთქვა პროტესტი თავდასხმისა და მის შთამაგონებელთა წინააღმდეგ და კომუნისტური პარტიისა და ამხანაგ ტოლიატისადმი სიყვარული თავისი საბრძოლო მანიფესტაციით, რომელიც იტალიის მუშათა მოძრაობაში უპრეცედენტოა ერთსულოვნობითა და მნიშვნელობით.

იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი".

ტოკიო

იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღშფოთებით შეიტყო იაპონელი ხალხის მტრების საზიზღარი დაქირავებულის ვერაგული თავდასხმა ჩვენს ამხანაგ ტოკუდაზე — იაპონიის მუშათა კლასის გამოჩენილ ბელადზე.

სსრ კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი უცხადებს იაპონიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს თავის მეგობრულ თანაგრძნობას და იმედოვნებს, რომ ამხ. ტოკუდა მალე დაუბრუნდება თავის ნაყოფიერ მოღვაწეობას ახალი დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე იაპონიის მშენებლობისათვის.

სსრ კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი
გიორგი მალენკოვი

20 ივლისი.

იუგოსლავიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ბელგრადი

ჩვენ, სტალინის სახელობის აკადემიის საინჟინრო ფაკულტეტის მსმენელები, უაღრესად ენერგიულ პროტესტს ვაცხადებთ იმ მტრული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ახორციელებენ იუგოსლავიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და იუგოსლავიის მთავრობა საბჭოთა კავშირისა და ბოლშევიკური პარტიის, აგრეთვე სხვა მოძმე კომუნისტური პარტიების მიმართ. როგორც იუგოსლავიის კომპარტიის წევრები, ჩვენ მოვითხოვთ, რომ იუგოსლავიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პატიოსნად აღიაროს თავისი შეცდომები, რომლებიც აღნიშნულია საინფორმაციო ბიუროს რეზოლუციაში, გამოასწოროს ეს შეცდომები და დააბრუნოს ჩვენი პარტია დანარჩენი კომუნისტური პარტიების ძმურ კავშირში.

საბჭოთა კავშირის გარეშე, ბოლშევიკური პარტიისა და ამხანაგ სტალინის გარეშე შეუძლებელია სოციალიზმის მშენებლობა, შეუძლებელია თავისუფალი იუგოსლავიის არსებობა.

მაიორი **ბლაჟო რასპოპოვიჩი**, ლეიტენანტი **ვლასტიმირ მიხაილოვიჩი**, კაპიტანი **ივანე კოსი**, ლეიტენანტი **მილოვან კოვაჩევიჩი**, კაპიტანი **მილორად სავიჩი**, კაპიტანი **ჟიურო როგავოვიჩი**.

მოსკოვი, 1948 წ. 17 ივლისი.

„გმირი დედის" საპატიო წოდების მინიჭება მრავალშვილიანი დედებისათვის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 5 ივლისის ბრძანებულებით „გმირი დედის" საპატიო წოდება მიენიჭათ „გმირი დედის" ორდენებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელების გადაცემით დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი და მეტი შვილი:

1. აგოიანს ვარსენიკ მარტიროსის ასულს — საქართველოს სსრ ბოგდანოვკის რაიონის სოფელ პოგის კოლმეურნეს.
2. ამიროვას სოფიო ივანეს ასულს — საქართველოს სსრ მარნეულის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
3. არძენაძეს ფადიმე ფერატის ასულს — აჭარის ასსრ ქედის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
4. ბაგაევას ელისაბედ კუზმას ასულს—საქართველოს სსრ ჯავის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
5. დევიძეს ჰურიე ჯემალის ასულს — აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
6. ვერაპატველიანს ტატიანა ნიკიტას ასულს — დიასახლისს, აფხაზეთის ასსრ ქალაქი გაგრა.
7. გაბელიას ეპრაქსია მიხეილის ასულს — საქართველოს სსრ ცხაკაიას რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
8. გიორხელიძეს ლუბა ვასილის ასულს — საქართველოს სსრ წულუკიძის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
9. გოგალაძეს ნადეჟდა ანტონის ასულს — საქართველოს სსრ ბორჯომის რაიონის სოფელ ტაძრისის კოლმეურნეს.
10. გიულსარიანს პაიცარ ალექსანის ასულს — საქართველოს სსრ ბოგდანოვკის რაიონის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
11. დიასამიძეს მიხრა მუჰამედის ასულს — აჭარის ასსრ ხულოს რაიონის სოფელ ჩანხალოს კოლმეურნეს.
12. დუმბაძეს სიდიკა ახმედის ასულს — აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის სოფელ კაპანდიბის კოლმეურნეს.
13. კაკუშაძეს ნატალია ივანეს ასულს — საქართველოს სსრ ტყიბულის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
14. კიპაროიძეს პალექსი ბესარიონის ასულს — საქართველოს სსრ საჩხერის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
15. კობახიძეს ევა ვასილის ასულს — საქართველოს სსრ საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთის კოლმეურნეს.
16. მჟავანაძეს ასია ჰასანის ასულს — აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის სოფელ ჩახატის კოლმეურნეს.
17. მიკირტიჩიანს მარიამ ამაიაკის ასულს — დიასახლისს, საქართველოს სსრ ქალაქი თბილისი.
18. რეხვიაშვილს ედესია ნესტორის ასულს — საქართველოს სსრ ამბროლაურის რაიონის სოფელ ურავის კოლმეურნეს.
19. სახეიშვილს მარიამ ბარნაბის ასულს — დიასახლისს, საქართველოს სსრ ქალაქი ფოთი.
20. სიმსივას დონა ალექსის ასულს — საქართველოს სსრ ქუთაისის რაიონის სოფელ ნამოხვანის კოლმეურნეს.
21. თხელიძეს ნინო მიხეილის ასულს — საქართველოს სსრ ზნაურის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
22. ხვედელიძეს ვერა ვასილის ასულს — საქართველოს სსრ ხობის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
23. ხუგაევას დარია ლევანის ასულს — საქართველოს სსრ ჯავის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
24. ხურიევას გიგი ივანეს ასულს — საქართველოს სსრ ლენინგორის რაიონის სოფელ გდულეთის კოლმეურნეს.
25. ჰეჰინაძეს თეოლინა ალექსანდრეს ასულს — საქართველოს სსრ ამბროლაურის რაიონის სოფელ ხიმშის კოლმეურნეს.
26. ჩხარტიშვილს დესპინე მარკოზის ასულს — დიასახლისს, აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის სოფელი ურეხი.
27. შარაშაძეს მარიამ რომანოზის ასულს — საქართველოს სსრ ზნაურის რაიონის სოფელ კალეთის კოლმეურნეს.

წლიური გეგმა — 7 ნოემბრისათვის

ივლისის პირველი ნახევარი მარგანეცის მრეწველობაში

ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა უკანასკნელ თვეებში უკეთ იწყო მუშაობა. ივნისის გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა. დავალება წარმატებით სრულდება ივლისშიც. ივლისის პირველ ნახევარში ტრესტმა გეგმის გადამეტებით გამოიღო მრავალი ასეული ტონა მარგანეცი. მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა იმ დანაკლისის ანაზღაურება, რაც ტრესტს სამეურნეო წლის პირველ ნახევარში ჰქონდა.

ჭიათურაში ყველაზე უკეთ მუშაობენ ლენინისა და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა კოლექტივები. პირველმა ნახევარი თვის დავალება შეასრულა 112,2 პროცენტით, ხოლო მეორემ — 110,2 პროცენტით. ამ მაღაროებმა უკვე შეასრულეს აგრეთვე შვიდი თვის გეგმები და ახლა მარგანეცს აგვისტოს ანგარიშში იძლევიან. აღნიშნულ მაღაროებში 120-125 პროცენტით სრულდება აგრეთვე შრომის ნაყოფიერების გეგმები.

უკანასკნელ ხანებში დაწინაურდა დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივიც, რომელმაც ივლისის პირველი ნახევრის გეგმა 106,4 პროცენტით შეასრულა.

მაგრამ ჯერ კიდევ სრული ნაყოფიერებით ვერ მუშაობენ სტალინისა და ბერიას სახელობის მაღაროები. ივლისის პირველი ნახევრის დავალება პირველმა 94,1 პროცენტით შეასრულა, ხოლო მეორემ — 97,7 პროცენტით. ამ მაღაროებმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ მუშაობა და მიაღწიონ დავალებათა გადაჭარბებით შესრულებას.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა წლიური გეგმის ვადამდე შესრულება იკისრა. ეს პირობა, რომ პირნათლად იქნას განაღდებული, აუცილებელია გეგმას ყველა მაღარო გადაჭარბებით ასრულებდეს.

პ. ჭიოკაძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

თბილისის მუსიკალური ავეჯეულობის კომბინატი. სურათზე: სტახანოველი შ. ლოლაძე, რომელიც დღიურ ნორმას 300-350 პროცენტით ასრულებს, მუშაობს პიანინოს გაკრიალებაზე.
ფოტო რ. აკოფოვისა

შრომითი აღმავლობა ქუთაისის საწარმოებში

ქუთაისის ფაბრიკა-ქარხნებში წარმატებით დაიწყეს წლის მეორე ნახევარი. კიდევ უფრო გაიზარდა პროდუქციის გამოშვება, გაუმჯობესდა ხარისხი, შემცირდა თვითღირებულება, გაძლიერდა ბრძოლა ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვისათვის.

აბრეშუმკომბინატში განსაკუთრებით დაწინაურდნენ საექსპლოატაციოდ ახლადგადაცემული ფაბრიკები. ბამბის საქსოვმა ფაბრიკამ და პენიეს წარმოებამ ივლისის პირველი ნახევრის დავალებანი 110-115 პროცენტით შეასრულეს. კომბინატელები ამჟამად დღეში 9 ათას მეტრამდე ქსოვილს ამზადებენ და ამით პირობებს ჰქმნიან წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის გასანაღდებლად.

წარმატებით მუშაობს მაუდის ფაბრიკის კოლექტივიც.

სტალინის სახელობის რიონის ჰიდროელსადგური უწყვეტად და უავარიოდ განაგრძობს მუშაობას. ექსპლოატაციის მუშაკებმა ივლისის 15 დღის გეგმას 6,5 პროცენტით გადაამეტეს და 10 პროცენტით ნაკლები ენერგია დახარჯეს საკუთარი მოხმარებისათვის.

ეს წარმატება იმის შედეგია, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა დანადგარების მიმდინარე და კაპიტალურ რემონტს, ორ აგრეგატზე დაიდგა სიჩქარის რეგულატორები და მოეწყო სპეციალური ხელსაწყოები ელექტროენერგიის განუწყვეტელი ნაკადის მიღებისათვის.

ასევე მოწინავეთა რიგებშია სამრეწველო კომბინატი, სადაც ფართო მოხმარების წარმოებამ ნახევარი თვის პროგრამა 117 პროცენტით შეასრულა და გადაჭარბებით გამოუშვა გათვალისწინებული სახის პროდუქცია.

გ. მეფისაშვილი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

გარდამავალი დროშა ზუგდიდის ჩაის საწნეხ ფაბრიკას

ზუგდიდის ჩარკვიანის სახელობის ჩაის საწნეხ ფაბრიკაში (დირექტორი პ. თოდუა) წარმატებით იბრძვიან მწვანე აგურა ჩაის გამოშვების წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის შესასრულებლად. ნაცვლად 700 ტონისა, წლის პირველ ნახევარში გამოშვებულია 1.077 ტონა ჩაის მზა პროდუქცია, რაც გეგმის 149,6 პროცენტს შეადგენს. ამასთან, შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 15 პროცენტით, ელექტროენერგიის ხარჯვა შემცირებულია 20 პროცენტით, საწვავისა — 4 პროცენტით. დაგროვილია 1.009 ათასი მანეთი.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის საგემოვნო მრეწველობის სამინისტრომ წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით ფაბრიკას გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია მიაკუთვნეს. 14 ივლისს ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა საზეიმო მიტინგზე ფაბრიკის კოლექტივს გარდამავალი დროშა გადაეცა.

ვ. მესხია
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ს. სოფრომაძემ წლიური გეგმა შეასრულა

ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის ახალგაზრდა მნგრეველმა სერგო სოფრომაძემ, რომელიც მეშახტის დღის ღირსეული შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი ინიციატორია, ივლისის პირველ დეკადაში 214 ტონა ქვანახშირი მოანგრია და ათ დღეში ოცი დღის დავალება გაანაღდა.

ორი დღის შემდეგ ამხ. სოფრომაძემ ახალი წარმატება მოიპოვა. 12 ივლისისათვის, ე. ი. ექვს თვესა და 12 დღეში მან ქვანახშირის მონგრევის წლიური გეგმა შეასრულა.

ვ. ცირეკიძე

ლექცია

მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო უძლეველია

პირველად ისტორიაში სსრ კავშირმა უჩვენა კაცობრიობას ეროვნული საკითხის სწორად გადაწყვეტის უდიდესი მაგალითი. ლენინ-სტალინის პარტიის ნაციონალურმა პოლიტიკამ უზრუნველჰყო საბჭოთა სახელმწიფოში ყველა ერის ნამდვილი დამოუკიდებლობა, თავისუფლება, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარება, ხალხთა დიადი მეგობრობა. ლენინიზმის იდეოლოგიამ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა მხეცური ნაციონალიზმისა და რასობრივი სიველურის ფაშისტურ იდეოლოგიაზე. ამით აიხსნება, რომ ჩაგრული ერები, მთელი პროგრესული ძალები მსოფლიოში იმედით შესცქერიან სსრ კავშირს, რომელსაც აქვს „ეროვნებათა ურთიერთობის მოწესრიგების მრავალმხრივი გამოცდილება“.

ბოლშევიკური პარტიის XII ყრილობაზე ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ საბჭოთა ქვეყანაში ეროვნული საკითხის სწორად გადაწყვეტას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ჩვენი ქვეყნის მაგალითით იმპერიალიზმის მიერ ჩაგრული ყველა ხალხი დაინახავს, რომ „მას ხელთ აქვს განთავისუფლების ღროშა, ჰყავს მოწინავე რაზმი, რომელსაც ის კვალდაკვალ უნდა გაჰყვეს,—და ეს იქნება მსოფლიო იმპერიალიზმის კრახის დასაწყისი“.[1]

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მაგალითის მიხედვით ჩვენ ამაყად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მსოფლიოში უკვე არის ეროვნული საკითხის სწორად გადაწყვეტის დიადი ნიმუში. ჩვენს ქვეყანაში თექვსმეტ მოკავშირე რესპუბლიკაში გაერთიანებულია სამოცზე მეტი ერი და ეროვნება. ისინი ხალხთა სტალინური მეგობრობით არიან შეკავშირებული, და ძმურად, სოლიდარულად თანამშრომლობენ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. ეს უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია და იგი თავისი ძალებისადმი რწმენით აღავსებს მსოფლიოს ყველა ხალხს, რომელიც იმპერიალისტური მონობისაგან თავის დასაღწევად იბრძვის.

უკრაინის მუშებისა და გლეხებისადმი მიმართულ წერილში 1919 წლის დეკემბერში ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა: „ჩვენ გვინდა ერების **ნებაყოფლობითი** კავშირი,—ისეთი კავშირი, **რომელიც არ დაუშვებს**, რომ ერთმა ერმა რაიმე ძალადობა ჩაიდინოს მეორის მიმართ“[2]).

„ერთიან სახელმწიფოდ ხალხთა არავითარი გაერთიანება არ შეიძლება მტკიცე იყოს, თუ მას საფუძვლად არ უდევს სრული ნებაყოფლობა, თუ ამა თუ იმ ხალხს, თუ თვითონ ხალხებს არ სურთ გაერთიანება“[3]), — გვასწავლის ამხანაგი სტალინი.

ერების გაერთიანების ნებაყოფლობითობა, რასაც მუდამ ხაზგასმით აღნიშნავს ლენინიზმი, წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილების უმაღლეს პრინციპს, და იგი შესაფერ ასახვას პოულობს ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციაში.

1936 წლის 5 დეკემბერს საბჭოთა ქვეყანამ მიიღო ახალი სტალინური კონსტიტუცია, რომელშიც საკანონმდებლო წესითაა განმტკიცებული სოციალიზმის გამარჯვების ფაქტი სსრ კავშირში. სტალინური კონსტიტუცია, რომელმაც ახალი კოლოსალური შესაძლებლობანი მისცა და უაღრესად ფართო ასპარეზი გადაუშალა ჩვენს ხალხს კომუნიზმის მშენებლობის გზაზე, ახალ დიდ ეტაპს წარმოადგენს საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს განვითარებაში. სტალინური კონსტიტუცია ბოლშევიკური პარტიის ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების ბრწყინვალე გამოხატულებაა და მას უდიდესი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

სტალინური კონსტიტუციით მტკიცედ არის დაკანონებული სსრ კავშირის ყველა ხალხის თანასწორუფლებიანობა სამეურნეო, სახელმწიფო და საზოგადოებრივ - კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში იგი კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა ხალხების ძმურ თანამშრომლობას და დიად სტალინურ მეგობრობას, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების მძლავრ წყაროს წარმოადგენს.

* * *

კაპიტალიზმის პირობებში არსებული მრავალეროვანი სახელმწიფო შეიცავს ისეთ დამატებით წინააღმდეგობას, რომელიც არყევს მის საფუძველს. ესაა წინააღმდეგობა ეროვნულ ნიადაგზე. ისე როგორც კლასობრივი წინააღმდეგობა, ეროვნულ ნიადაგზე შეხლა-შემოხლაც არ შეიძლება მოისპოს მრავალეროვან ბურჟუაზიულ სახელმწიფოში. ვინაიდან იქ, სადაც კაპიტალიზმია, კლასობრივი და ნაციონალური ჩაგვრაცაა, ხოლო ეს გარემოება გარდუვალად იწვევს ჩაგრული ერის წინააღმდეგობას, ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებას. ამაშია შინაგანი რღვევის ელემენტები რომელნიც შიგნიდან ღრღნიან მრავალეროვან ბურჟუაზიულ სახელმწიფოს. ამით აიხსნება მარცხი, რაც განიცადეს მრავალეროვანმა ბურჟუაზიულმა სახელმწიფოებმა— რუსეთმა 1917 წელს, ავსტრია-უნგრეთმა 1918 წელს, პოლონეთმა — 1939 წელს. „იქ, დასავლეთში, ბურჟუაზიული დემოკრატიის მსოფლიოში,—აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — ჩვენ საქმე გვაქვს მრავალეროვანი სახელმწიფოების თანდათან დაცემასთან და დაშლასთან შემადგენელ ნაწილებად...“

კლასობრივი და ნაციონალური ხასიათის წინააღმდეგობანი ამჟამად მძლავრად არყევენ იმპერიალისტური სახელმწიფოების საფუძვლებს, ასუსტებენ მათ. ეს სავსებით გასაგებიცაა. რადგან ჯერ კიდევ თითქმის ერთი მილიარდი ადამიანი ატარებს იმპერიალიზმის უღელს და კოლონიურ მონობას განიცდის. ბურჟუაზიული ნაციონალიზმი, შოვინიზმი, რასიზმი ბატონობს იმპერიალისტურ ქვეყნებში.

ახლა უოლ-სტრიტის იმპერიალისტური ხროვა ისწრაფვის მსოფლიო ბატონობისაკენ, იგი ამერიკის, აზიისა და აფრიკის ძარცვას აღარ სჯერდება და ევროპის სრულ დამონებას ლამობს.

ამერიკის შეერთებული შტატები, დგანან რა იმპერიალისტური სამყაროს ავანგარდში, ფაშიზმის რასობრივი თეორიის ახალი სახით აღორძინებას ცდილობენ, და ამ მიზნით იყენებენ უბადრუკ სულელურ „თეორიას“ „ამერიკელთა უპირატესობის“ შესახებ ყველა სხვა ხალხებთან შედარებით. ამერიკელი სენატორი მილბო და ძმანი მისნი თავგამოდებით იბრძვიან, რათა ზანგები მარად უუფლებონი იყვნენ. ამერიკაში ყველა ფერადკანიანი (მულატები, ინდოელები, ჩინელები და სხვ.) მოკლებულია ყოველგვარ უფლებას. ამერიკის თერთმეტი მილიონი ზანგი საშინელი რასობრივი დისკრიმინაციის პირობებში ცხოვრობს. ამგვარად, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ფაქტიურად მოკლებულია ყოველგვარ იურიდიულ, პოლიტიკურ უფლებებს. ზანგების მხეცური ცემა-ტყეპა და მკვლელობაც კი თითქმის ყოველთვის დაუსჯელი რჩება. „ლინჩით გასამართლება“, ზანგების მიმართ ეს შუასაუკუნეობრივი ბარბაროსობა, ფაქტიურად დღემდე ძალაშია. ამასთან ზანგები ხშირად „ლინჩის“ მსხვერპლი ხდებიან ისეთი „ფრიად საპატიო“ მიზეზების გამო, როგორიცაა „თეთრ ქალთან საუბარში მონაწილეობა“, „თეთრკანიანი ადამიანისადმი შედავება“ და სხვ. ჩვეულებრივად სასამართლოში, სადაც მხოლოდ „თეთრკანიანები“ სხდიან, როგორც წესი, ზანგს ამტყუნებენ. მაგრამ კიდევაც რომ გაამართლონ, ეს ფორმალურ აქტად იქცევა, რადგან „გამართლებული“ „ლინჩის“ მსხვერპლი გახდება. ცნობილი მწერალი ილია ერენბურგი ასეთ ეპიზოდს მოგვითხრობს: მისისიპის შტატში ქალაქ ობერდინში სასამართლომ გაამართლა ზანგი ჯონ ლოიდი. მაგრამ განაჩენის გამოქვეყნებიდან ათი წუთის შემდეგ ბრბომ წამებით მოჰკლა ჯონ ლოიდი. ასეთია ამერიკელ პლუტოკრატთა „ნაქები დემოკრატიზმი“ ქვეყანაში, სადაც ფერადკანიან ადამიანს აკრძალული აქვს „თეთრკანიანთან“ ერთად ჯდომა თეატრში, სასადილოში და ტრამვაიშიც კი.

კოლონიათა ძარცვასა და ჩაგვრაზე დამყარებული ბრიტანეთის იმპერია, რომლის მოსახლეობა ნახევარ მილიარდს აღწევს, ეს მაშინ, როცა საკუთრივ ინგლისში ცხოვრობს 46,6 მილიონი. აზიაში, აფრიკასა და ავსტრალიაში „ფერადკანიანთა“ საშინელ ჩაგვრაზე ლაღადებს უამრავი ფაქტი. საკმარისია აღინიშნოს, რომ სამხრეთ აფრიკის კავშირში ინდუსებისათვის არსებობს „გეტო“ (განსაზღვრული ადგილი, რომლის გარეთ არა აქვთ ცხოვრების უფლება). არა მარტო უმაღლესი სასწავლებლის, არამედ ჩვეულებრივი სკოლების კარებიც კი დაკეტილია ინდიელებისათვის.

ინგლისური „ცივილიზაციის“ ბატონობის შედეგი ინდოეთში ის არის, რომ დღემდე ხალხი სავსებით ვერ განთავისუფლდა ფეოდალიზმის ბორკილებისაგან და მოსახლეობის თითქმის ნახევარი განწირულია შიმშილით სიკვდილისათვის. იმპერიალისტები კოლონიებში (ისე როგორც ამას ცარიზმი მიმართავდა რუსეთის განაპირა ქვეყნებში) მუდამ იმას ცდილობენ, რომ ფართო მასები უვიცობის წყვდიადში იხრჩობოდნენ. ამ პოლიტიკის ნაყოფი ის არის, რომ წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი 30 წლის მანძილზე (პირველი მსოფლიო ომიდან მეორე მსოფლიო ომამდე) გაიზარდა მხოლოდ ერთი პროცენტით.

აქედან ნათელია, რომ ყბადაღებული ბურჟუაზიული თანასწორობა, დემოკრატიზმი, რასაც ფარისევლურად ქადაგებენ კაპიტალიზმის დაქირავებული ლაქიები, უსირცხვილო დემაგოგიაა და მეტი არაფერი.

„ზედმეტია იმის მტკიცება,—გვასწავლის ამხანაგი სტალინი,—რომ კაპიტალის ბატონობის, წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებისა და კლასების არსებობის დროს არ შეიძლება უზრუნველყოფილი იქნას ეროვნებათა თანასწორობა“.

„იმპერიალიზმს (კაპიტალიზმის უმაღლეს ფორმას) არსებობა არ შეუძლია, თუ არასრულუფლებიანი ერები და კოლონიები პოლიტიკურად და ეკონომიურად არ დაიმონა“[4]).

მაგრამ ყოველივე ეს ბუნებრივსა ხდის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განუწყვეტელ ზრდას. ამ მოძრაობამ განსაკუთრებით ფართო და მწვავე ბრძოლის ხასიათი მიიღო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

ომმა არა მარტო უბედურება და გაჭირვება მოუტანა ხალხებს, არამედ უდიდესი ისტორიული გაკვეთილიც მისცა მათ. მეორე მსოფლიო ომს შედეგად მოჰყვა კაპიტალიზმის ბანაკის შემდგომი დასუსტება, სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკის შემდგომი გაძლიერება, ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერება მთელ მსოფლიოში.

„მეორე მსოფლიო ომის შედეგად,— როგორც ამხ. ჟდანოვი აღნიშნავს,—კოლონიური სისტემის კრიზისის გამწვავება გამოიხატა კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი აღმავლობით. ამით საფრთხეში ჩავარდა კაპიტალისტური სისტემის ზურგი. კოლონიების ხალხებს აღარ სურთ ძველებურად იცხოვრონ. მეტროპოლიის გაბატონებულ კლასებს აღარ შეუძლიათ ძველებურად მართონ კოლონიები. ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამხედრო ძალით დათრგუნვის ცდები ახლა კოლონიების ხალხთა უფრო და უფრო მზარდ შეიარაღებულ წინააღმდეგობას აწყდება, იწვევს გაჭიანურებულ კოლონიურ ომებს (ჰოლანდია-ინდონეზია, საფრანგეთი-ვიეტ-ნამი)“.

კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ახალ ფაზაში შევიდა. ამ მოძრაობის გაძლიერება კაპიტალიზმის საერთო კრიზისს აღრმავებს.

უდიდესი განმათავისუფლებელი ომი ჩინეთში, რომელმაც უკვე გამოჰგლიჯა იმპერიალიზმის გავლენას ამ ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის მოსახლეობა 170 მილიონს აღემატება, განმათავისუფლებელი ომი ინდო-ჩინეთში, ინდონეზიასა და ფილიპინებზე, მძაფრი პოლიტიკური ბრძოლები ინდოეთში, ბირმაზე, მალაიასა, ცეილონში, ირანში, ეგვიპტეში, ლიბანში, სირიაში, პალესტინაში და სხვა, აშკარად მოწმობენ იმას, რომ კოლონიურ და დამოკიდებულ ხალხებს აღარ სურთ ძველებურად ზიდონ იმპერიალიზმის უღელი და თავგამოდებით მიისწრაფვიან იმისაკენ, რათა ახალ საფუძველზე მოაწყონ თავიანთი ცხოვრება — მოიპოვონ დამოუკიდებლობა, დაამყარონ დემოკრატიული წესწყობილება.

მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იმპერიალისტურ ქვეყნებს აიძულებს მცირედი დასთმონ, რათა არ დაჰკარგონ ყველაფერი. ამით არის გამოწვეული, რომ ინგლისმა დომინიონის უფლება მიანიჭა ინდოეთს, საფრანგეთმა სირიისა და ლიბანის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ჰოლანდიამ შეთანხმება დასდო ინდონეზიის რესპუბლიკასთან და ვალდებულება იკისრა 1948 წლის ბოლომდე გამოიყვანოს ჯარი ინდონეზიიდან. ერთგვარ დათმობებს მიაღწიეს ეგვიპტემ, ვიეტნამმა, ცეილონმა და სხვ. ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ მეტროპოლიებს აღარ შესწევთ ძალა ძველებურად განაგრძონ კოლონიების მართვა და პოლიტიკურ მანევრებს მიმართავენ. მაგრამ ეს ცვლილებანი სრულიადაც არ სცვლიან კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში იმპერიალიზმის ბატონობის არსს. თავიანთი მგლური კანონის მიხედვით, როგორც კი უკეთ იგრძნობენ თავს იმპერიალისტები, არარად აქცევენ ამ „დათმობებს“.

მაგალითად, ფორმალური აღმოჩნდა ფილიპინების „დამოუკიდებლობა“, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოაცხადეს 1946 წელს. გათელილი აღმოჩნდა ინდონეზიის რესპუბლიკა, რომელიც ფორმალურად ნიდერლანდ-ინდონეზიის კავშირის წევრია. ასეთივე ბედი ეწია ვიეტ-ნამს, პალესტინას და სხვ. ინდოეთის დომინიონად გამოცხადებამ ვერ იხსნა იგი ინგლისის კაბალისაგან. ხოლო ბირმისა და ცეილონის დამოუკიდებლობა სავსებით ფიქცია აღმოჩნდა. ამგვარად, იმპერიალისტების ნაბოძვარი „დათმობები“ ხალხის მოსატყუებლად განკუთვნილი პოლიტიკური ფანდია და კოლონიური ჩაგვრის პირობებს სრულიად არ სცვლიან. მხოლოდ უდავოა, რომ ძალთა გადაჯგუფება ამ მიმართულებითაც ხდება. ახლა კოლონიური ჩაგვრის მთავარი ძალა ანგლო-საქსური იმპერიალიზმია. ამ მხრივაც პირველი ადგილი ამერიკის შეერთებულ შტატებს უჭირავს.

რას მოწმობენ ეს ფაქტები? ისინი იმას მოწმობენ, რომ „არასრულუფლებიანი ერები და კოლონიები ვერ განთავისუფლდებიან, თუ დამხობილი არ იქნა კაპიტალის ხელისუფლება“[5]). ეს ფაქტები იმას მოწმობენ, რომ ერთადერთი სწორი გზა, რომლითაც შეიძლება ყველა ჩაგრული ხალხის განთავისუფლება, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გზაა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გზა, რომელიც დასაბუთებული და გაშუქებულია ლენინიზმის დიადი მოძღვრებით.

ყოველივე აქედან ნათელია, თუ რა უდიდეს შეცდომას სჩადის ცნობილი ანტიმილიტარისტი, სახელგანთქმული ფიზიკოსი აინშტაინი, როცა იგი ცალკე ერებისა და სახელმწიფოთა სუვერენიტეტის ლიკვიდაციას მოითხოვს და „მსოფლიო სახელმწიფოს“ რეაქციულ-უტოპიურ იდეას აყენებს. იგი ვერც კი ხედავს, რომ ამ საკითხზე მისი შეხედულებანი სავსებით შეეფერება ანგლო-საქსური იმპერიალიზმის მსოფლიოზე გაბატონების ავაზაკურ მისწრაფებას.

როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ამერიკის შეერთებული შტატები მნიშვნელოვნად გაძლიერდნენ. ახლა ამ ქვეყნის იმპერიალისტები მსოფლიო ბატონობისაკენ მიისწრაფვიან. მაგრამ ისტორიის გამოცდილება დამაჯერებლად ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ კაპიტალიზმის პირობებში უსაფუძვლოა ლაპარაკი არათუ „მსოფლიო სახელმწიფოზე“, არამედ საზოგადოდ მტკიცე მრავალეროვან სახელმწიფოზეც. ფაქტები ადასტურებენ, რომ ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იმპერიალიზმის წინააღმდეგ სრულიად კანონზომიერი მოვლენაა. ეს მოძრაობა, რომელიც თავის განვითარებაში შეიარაღებულ ბრძოლად იქცევა, ასუსტებს იმპერიალისტური სახელმწიფოების ზურგს. უფრო მეტი. არ შეიძლება ანგლო-საქსური იმპერიალიზმის ქვეყნებმა, რომელთაც მძლავრი კლასობრივი და ნაციონალური წინააღმდეგობანი არყევენ, არ განიცადონ ბედი ავსტრია-უნგრეთის იმპერიისა, რომელიც ამ ოცდაათი წლის წინათ დაეცა ანალოგიური მიზეზების გამო.

ასეთია, მოკლედ, იმპერიალისტური მსოფლიოს გამოცდილება მრავალეროვანი სახელმწიფოს „მშენებლობის“ დარგში. ეს გამოცდილება იმას ადასტურებს, რომ **ნაციონალური ხასიათის წინააღმდეგობანი კაპიტალიზმის პირობებში გადაულახავ დაბრკოლებას წარმოადგენენ მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის გზაზე.**

* * *

პრინციპულად განსხვავებულ საფუძვლებს ემყარება საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილება, მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო. ლენინი და სტალინი არა ერთხელ მიუთითებდნენ, რომ ის, რაც ვერ განხორციელდა კაპიტალიზმის ბაზაზე, შეიძლება წარმატებით განხორციელდეს საბჭოთა სოციალისტური წყობილების საფუძველზე, და მტკიცედ, სრული იმედით შეუდგნენ მრავალეროვანი სახელმწიფოს მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ თვალწინ გვქონდა, ამბობდა ამხანაგი სტალინი საბჭოების VIII ყრილობაზე, ბურჟუაზიულ ქვეყნებში მრავალეროვან სახელმწიფოთა შექმნის მარცხით დამთავრებული ცდები და მაინც მივმართეთ მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის ცდას, ვინაიდან ვიცოდით, „რომ სოციალიზმის ბაზაზე წარმოშობილმა მრავალეროვანმა სახელმწიფომ უნდა გაუძლოს ყველა და ყოველგვარ განსაცდელს“.

როგორც ყოველთვის, ლენინისა და სტალინის წინასწარდასახულობა ბრწყინვალედ განხორციელდა. საბჭოთა მრავალეროვანმა სახელმწიფომ ჭეშმარიტად გმირულად გაუძლო ყველა და ყოველგვარ განსაცდელს და ძლევამოსილად მიდის წინ ჩვენი ქვეყნის ხალხების ეკონომიური და კულტურული აყვავების გზით, მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულების გზით. ჩვენი ქვეყნის გამოცდილებამ მთელს მსოფლიოს უჩვენა, „რომ სოციალიზმის ბაზაზე წარმოშობილი მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის ცდა სრული წარმატებით დამთავრდა. ეს არის ლენინური ნაციონალური პოლიტიკის უეჭველი გამარჯვება.

...ახლა ჩვენ გვაქვს სავსებით ჩამოყალიბებული მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, რომელმაც ყოველგვარ განსაცდელს გაუძლო და რომლის სიმტკიცეც შეშურდებოდა, რომელიც გნებავთ ნაციონალურ სახელმწიფოს ქვეყნიერების რომელიც გნებავთ ნაწილში“[6]).

მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს სიმტკიცე და უძლეველობა განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის წინააღმდეგ. სამამულო ომის პერიოდში გამოვლინდა ხალხთა მეგობრობის იდეოლოგიის, საბჭოთა პატრიოტიზმის უდიდესი ძალა და ძლიერება. ბრწყინვალედ დადასტურდა დიდი სტალინის მიერ ჯერ კიდევ სამამულო ომამდე გამოთქმული დებულება, რომ ვიდრე ჩვენში სოციალიზმის უდიდესი მონაპოვარი — ხალხთა მეგობრობა — არსებობს და ვითარდება, საბჭოთა ხალხი თავისუფალი და უძლეველი იქნება. ბოლშევიკური პარტია, რომელიც საბჭოთა ხალხის მთელ საქმიანობას ხელმძღვანელობს და წარმართავს კომუნიზმისაკენ, არის ხალხთა სტალინური მეგობრობის სულისჩამდგმელი. ლენინ-სტალინის პარტია მთელი თავისი სახელოვანი ისტორიის მანძილზე მედგრად და თანმიმდევრობით იბრძვის ხალხთა ინტერნაციონალური სოლიდარობისათვის, რომლის სინამდვილედ გადაქცევის რეალური საფუძველი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ შექმნა.

ახასიათებდა რა ჩვენი ქვეყნის უდიდეს გამარჯვებას მეორე მსოფლიო ომში 1946 წლის 9 თებერვალს, ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ ეს იყო მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილების გამარჯვება. მრავალეროვანმა საბჭოთა სახელმწიფომ ძლევამოსილად გადაიტანა უმძიმესი ომის განსაცდელი, იგი კიდევ უფრო განმტკიცდა ომის პერიოდში და, ამგვარად, სავსებით სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფო წყობილება აღმოჩნდა. გერმანელი ფაშისტები და სხვა ყველა ჯურის იმპერიალისტები, რომელნიც ჩვენი სახელმწიფოს, როგორც მრავალეროვან სახელმწიფოს, სისუსტეზე გაჰყიროდნენ და ავსტრია-უნგრეთის მაგალითი მოჰყავდათ, სასტიკად მოსტყუვდნენ. ისინი თავიანთი იმპერიალისტური საზომით ზომავდნენ სოციალისტური ქვეყნის სიმტკიცეს. „ამ ვაჟბატონებმა, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — ვერ გაიგეს, რომ ანალოგია ავსტრია-უნგრეთთან უსაფუძვლოა, რადგან ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფო აღმოცენდა არა ბურჟუაზიულ საფუძველზე, რომელიც სტიმულს აძლევს ნაციონალური უნდობლობისა და ნაციონალური შუღლის გრძნობებს, არამედ საბჭოთა საფუძველზე, რომელიც, პირიქით, ნერგავს ჩვენი სახელმწიფოს ხალხთა შორის მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის გრძნობებს“.

დიდი სამამულო ომის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სოციალიზმის საფუძველზე აგებული მრავალეროვანი სახელმწიფო, რომელიც ლენინურ-სტალინური პოლიტიკის დიად პრინციპებს ემყარება, უძლეველია.

„ახლა უკვე საქმე ეხება არა საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილების სიცოცხლისუნარიანობას, რადგან მისი სიცოცხლისუნარიანობა ეჭვს არ იწვევს. ახლა საქმე ეხება იმას, რომ საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილება აღმოჩნდა მრავალეროვანი სახელმწიფოს ნიმუში, რომ საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილება წარმოადგენს სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ისეთ სისტემას, სადაც ეროვნული საკითხი და ერების თანამშრომლობის პრობლემა გადაწყვეტილია უკეთესად, ვიდრე რომელიმე სხვა მრავალეროვან სახელმწიფოში“ (სტალინი).

გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ დიდ სამამულო ომში სსრ კავშირის ხალხები ერთსულოვნად აღსდგნენ და დიადი პატრიოტიზმი, უმაგალითო მასობრივი გმირობა გვიჩვენეს სოციალისტური სამშობლოს დაცვის წმიდათა წმიდა საქმეში. ისტორიას არ ახსოვს ხალხების ისეთი ერთსულოვნება და მონოლითობა, როგორიც გამოიჩინა საბჭოთა ხალხმა დიდ სამამულო ომში ფაშიზმის წინააღმდეგ. საბჭოთა ხალხის ერთსულოვნებამ და სიმტკიცემ დაამსხვრია ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის სამხედრო ძლიერება.

სამამულო ომში უდიდესი როლი შეასრულა დიდმა რუსმა ხალხმა. მის ირგვლივ შემოიკრიბნენ სსრ კავშირის ხალხები.

„მსოფლიოში არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს გასთიშოს ამიერკავკასიის ხალხები, მოსწყვიტოს ისინი დიდ რუს ხალხს,—ჩვენს უფროს ძმას, სსრ კავშირის ხალხთა სტალინურ ოჯახში, — ხალხს, რომელმაც ნამდვილი თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების სიხარული მოგვანიჭა!“. ასე სწერდა თავის მიმართვაში ამიერკავკასიის ხალხთა ანტიფაშისტური მიტინგი 1942 წლის 23 აგვისტოს, როცა გამხეცებული ჰიტლერელი ავაზაკები ჩვენი ქვეყნის სიღრმეში მოძვრებოდნენ.

ჩვენი საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ხალხთა სტალინური მეგობრობა, საბჭოთა პატრიოტიზმი — წარმოშობილნი სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების ბაზაზე, გახდნენ დიდ მატერიალურ ძალად, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა მტრის განადგურებისა და საბჭოთა სამშობლოს ძლევამოსილად დაცვაში. საბჭოთა საზოგადოების ამ მამოძრავებელ ძალებს მივყავართ წინ — კომუნიზმისაკენ.

საბჭოთა პატრიოტიზმი ახალი, უმაღლესი ტიპის პატრიოტიზმია, რომელიც სოციალისტური სამშობლოსადმი მგზნებარე, თავდადებული სიყვარულით გამოიხატება. იგი გამოიხატება თვითეული საბჭოთა მოქალაქის მზადყოფნით — ყველაფერი გააკეთოს სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ. საბჭოთა პატრიოტიზმის სიდიადე ისაა, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — რომ მასში ჰარმონიულად შეხამებულია ხალხთა ნაციონალური ტრადიციები და საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთა საერთო ინტერესები. მისთვის უცხოა რასობრივი და ნაციონალისტური ცრუშეხედულებანი. ამიტომ „საბჭოთა პატრიოტიზმი კი არ სთიშავს, არამედ, პირიქით, აკავშირებს ჩვენი ქვეყნის ყველა ერსა და ეროვნებას ერთიან ძმურ ოჯახად“.

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობამ, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმმა მტკიცედ შეადუღაბა და უძლეველი გახადა საბჭოთა არმია, რომელმაც ორთაბრძოლაში სასტიკად დაამარცხა თავით ფეხამდე შეჯავშნული ფაშისტური არმია. საბჭოთა არმიის შემადგენლობაში ერთნაირი გმირული თავდადებით იბრძოდნენ ფრონტზე სსრ კავშირის ყველა ხალხის შვილები. ასევე გმირულად შრომობდნენ ზურგში ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი, გლეხობა და ინტელიგენცია. ისტორიას არ ახსოვს არმიისა და ხალხის ასეთი უმაგალითო ერთიანობა და თავდადება სამშობლოსათვის ბრძოლაში. ასრულდა დიდი სტალინის მიერ საბჭოთა არმიის 10 წლისთავზე ნათქვამი სიტყვები, რომ: „კრიტიკულ მომენტში ჩვენი არმია ჰპოვებს ჩვენს თვალუწვდენ ქვეყანაში მცხოვრებ ყველა და ყოველი ეროვნების მილიონობით მასების უდიდეს მხარდაჭერასო“.

სამამულო ომის ქარცეცხლში კიდევ უფრო განმტკიცდა სსრ კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობა, რაც სოციალიზმისათვის მშვიდობიანი მშენებლობის წლებში შეიქმნა და განვითარდა. ერების თანასწორუფლებიანობისა და ხალხთა მეგობრობის საბჭოთა იდეოლოგიამ ბრწყინვალე გამარჯვება ჰპოვა ფაშიზმის მხეცური ნაციონალიზმისა და კაცთმოძულე რასობრივი სიველურის იდეოლოგიაზე. ამ მოვლენას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. „გერმანელთა რასობრივმა თეორიამ და რასობრივი სიძულვილის პრაქტიკამ ის გამოიწვია, რომ ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხი ფაშისტური გერმანიის მტრად იქცა. რასების თანასწორუფლებიანობის თეორიამ სსრ კავშირში და სხვა ერებისადმი პატივისცემის პრაქტიკამ ის გამოიწვია, რომ ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხი საბჭოთა კავშირის მეგობარი გახდა“. (სტალინი).

საბჭოთა არმიამ ბრწყინვალედ შეასრულა თავისი დიადი განმათავისუფლებელი მისია დასავლეთი ევროპის მთელი რიგი ქვეყნების მიმართ, დაეხმარა მათ ფაშიზმის უღლის დამხობასა და თავიანთი სუვერენული უფლებების აღდგენაში.

საბჭოთა ხალხი სწრაფად იშუშებს ომით მიყენებულ ჭრილობებს და თავდადებით იბრძვის თავისი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური და სამხედრო სიძლიერის შემდგომი განმტკიცებისათვის, მეოთხე სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის. ამ საერთო სახალხო საქმეში აშკარად მოსჩანს საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმი. ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხები ძმურ დახმარებას უწევენ იმ საბჭოთა რესპუბლიკებს, რომელთაც ჰიტლერელთა ოკუპაცია განიცადეს, ამით ნათლად ვლინდება საბჭოთა ხალხების დიადი სტალინური მეგობრობა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საფუძველზე შექმნილმა სსრ კავშირმა პირველად უჩვენა მსოფლიოს ეროვნული საკითხის სწორად გადაწყვეტის უდიდესი მაგალითი. სსრ კავშირის სახით არსებობს დიდი მასშტაბის მრავალეროვანი ქვეყანა, რომელსაც აქვს „ეროვნებათა შორის ურთიერთობის მოწესრიგების მრავალმხრივი გამოცდილება“ (ვ. მოლოტოვი). ამ გამოცდილებას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვებები, რომელიც მან კომუნიზმის მშენებლობის საქმეში მოიპოვა, გზას უნათებს მსოფლიოს ყველა ხალხებს, რომელნიც თავიანთი ეროვნული თავისუფლებისა და სახალხო დემოკრატიისათვის იბრძვიან, განუმტკიცებს მათ საკუთარი ძალებისადმი რწმენას — გამარჯვების რწმენას.

ჩვენი ქვეყნის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი მთლიანად დაკავშირებულია ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის სახელთან. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის მეთაურობით შექმნილი სსრ კავშირი — ხალხთა მეგობრობისა და მშვიდობიანობის ეს ბურჯი — ახალ-ახალ წარმატებას აღწევს. იგი მტკიცედ და მედგრად მიდის კომუნიზმის გზით და თავისი დიადი გამოცდილებით და მაგალითით აათქეცებს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ძალებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, კლასობრივი და ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ მთელ მსოფლიოში.

ლ. ებანოიძე

---

[1] ი. სტალინი, მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიური საკითხი, გვ. 150.

[2] ვ. ლენინი, ტომი XXIV, გვ. 657.

[3] ი. სტალინი, მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიური საკითხი, გვ. 53.

[4] ი. სტალინი, მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიური საკითხი, გვ. 115.

[5] ი. სტალინი, მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიური საკითხი, გვ. 115.

[6] ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 638-639.

ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური სოციალისტური შრომის გმირი ბესირე კონცელიძე, რომელიც დღეში კრეფს 100-150 კილოგრამ ჩაის ფოთოლს.

ფოტო რ. აკოფოვისა

აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პლანტაცია. სტახანოველი ანა სკლიაროვა ყოველდღიურად კრეფს 70-80 კილოგრამ ჩაის ფოთოლს.

ფოტო გ. ტოლმაჩევისა

მახარაძელები ჩაის მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში

მახარაძელმა მეჩაიე კოლმეურნეებმა დიდი სტალინისათვის გაგზავნილი წერილით სერიოზული ვალდებულებანი იკისრეს. მათ მისწერეს ბელადს, რომ წელს რაიონში მოსავლიანი ჩაის პლანტაციების მთელ ფართობზე მოკრეფენ და სახელმწიფოს ჩააბარებენ 9.600 ტონას, ანუ საშუალოდ ჰექტარზე 1.460 კილოგრამ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს, ესე იგი შარშანდელ სახელმწიფო გეგმაზე 2.580.000 კილოგრამით მეტს და თითქმის იმის მეოთხედს, რაც რესპუბლიკაში მთელი სეზონის მანძილზე უნდა მოიკრიფოს.

ბელადისათვის მიცემული სიტყვის შესასრულებლად გაჩაღებულია მუშაობა. მახარაძელებს უკვე მოკრეფილი აქვთ 4.220.200 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, მიმდინარე წლის სახელმწიფო გეგმა შესრულებულია 45,8 პროცენტით. მიუხედავად იმისა, რომ წელს რაიონში ჩაის ფოთოლი ერთი თვის დაგვიანებით შემოვიდა, მთელი რიგი კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, ბრიგადები, რგოლები, ცალკეული მკრეფავები გეგმებს ვადამდე და გადაჭარბებით ასრულებენ. სოფლის მეურნეობაში გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგთა შემაჯამებელმა რაიონულმა კომისიამ 1948 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის, ჩაის ფოთლის კრეფის როგორც მაისის, ისე ივნისის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად სცნო შემოქმედის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ელისე დარჩია, პარტორგანიზაციის მდივანი ს. სიამაშვილი), ვაკიჯვრის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე სიმონ მოქია, პარტბიუროს მდივანი ა. მდინარაძე) და შეუნარჩუნა მათ საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის გარდამავალი წითელი დროშა. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად სცნეს აგრეთვე ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა ანასეულის საკავშირო სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტი.

შემოქმედელ კოლმეურნეებს მაისის გეგმა შესრულებული აქვთ 123,8 პროცენტით, ივნისისა — 124,3, ხოლო ივლისისა მარტო 13 დღეში—50 პროცენტით. აქ დავალებებს თითქმის ორმაგად ანაღდებენ ის ბრიგადები, რომლებსაც ზ. მგელაძე, ა. ჩიტაიშვილი, ნ. დუმბაძე, მ. საბაშვილი, გ. პეშკოვი და მ. ჰანუყვაძე ხელმძღვანელობენ. ასევე დაწინაურდნენ ნინო ლომაძის, კაკალა დუმბაძის, ფატი ძიძიშვილის, კუკუნია ერქომაიშვილის, ნათელა თიკანაძის, ლუბა სკანკაჩაიშვილის, ქეთო აბაშმაძის საწარმოო რგოლები. მარტო ზ. მგელაძის ბრიგადა დღეში ერთ ტონამდე ჩაის ფოთოლს ჰკრეფს, 6 ჰექტარის ყოველ ჰექტარზე სეზონში—5 ტონას. სტახანოველ კუკუნია ერქომაიშვილს ჩაის დარგში წელს უკვე გამომუშავებული აქვს 168 შრომადღე, კაკალა დუმბაძეს — 150 შრომადღე. მოწინავეთა რიგებში არიან დარია მარშანია, ნათელა თიკანაძე და მრავალი სხვ.

კოლმეურნეობაში პლანტაციები სანიმუშოდ არის დაცული, ყოველი ნაკვეთი მოსავლელად მიჩენილი აქვს რგოლის თითო წევრს. დროულად და მაღალხარისხოვნად მოაწყეს ფოსფოროვანი სასუქის შეტანა, ბარვა და გასხვლა, აზოტოვანი სასუქის ორჯერ მიცემა, წუნწუხით გაპატივება. წელს პლანტაციები სამჯერ არის გათოხნილი.

კოლმეურნეები ჩაის ფოთოლს ჰკრეფენ დროულად, განუწყვეტლივ და ყველა დადგენილი წესის დაცვით. კოლმეურნეობის ხელმძღვანელები, პირველ რიგში კი მისი თავმჯდომარე და აგრონომი, ყოველდღიურად უშუალოდ ადგილებზე რამდენჯერმე მისვლით ამოწმებენ სამუშაოთა შესრულებას, აძლევენ მითითებებს, ეხმარებიან დავალებათა განაღდებაში. შემოქმედის კოლმეურნეობა ახლა მოწინავეა რაიონში.

სოფელ ვაკიჯვრის კოლმეურნეობაში მარტო მაის-ივნისში გეგმის გადამეტებით მოკრეფილია 27 ტონა ჩაის ფოთოლი. 129 ჰექტარი პლანტაცია სამჯერ არის გათოხნილი და ამდენჯერვე ჩატარებულია კულტივაცია. აზოტოვანი სასუქის მეორე დოზის შეტანა დიდი ხანია დამთავრებულია. 9 ჰექტარზე მოწყობილია წუნწუხით გაპატივება, ხოლო 15 ჰექტარზე სისტემატური მორწყვა. როგორც პლანტაციების მოვლის, ისე ჩაის კრეფის საქმეში თავი ისახელეს კოლმეურნეებმა ქეთო სალუქვაძემ, ლუბა გოლიაძემ, ბულბული გვარჯალაძემ, ნაზია გიორგაძემ, კატუშა სიამაშვილმა, ნ. ბერსენაძემ.

მოწინავეა ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ამხ. გვარჯალაძე). მესამე აგროუბანმა, რომელსაც ამხ. ს. თავაძე ხელმძღვანელობს, კრეფის დარგში წლიური დავალება 74,5 პროცენტით გაანაღდა, მეოთხე აგროუბანმა კი (ხელმძღვანელი მ. ღლონტი) — 63,3 პროცენტით. აგროტექნიკოს დუსია უტკინას ბრიგადას ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შესრულებული აქვს 95 პროცენტით, ვ. ნაცვალაძის ბრიგადას — 79,6, პ. რაზენკოს ბრიგადას—86,2 პროცენტით. სტახანოველი შურა უტკინა კრეფის დღიურ დავალებას ხუთმაგად ასრულებს. 0,5 ჰექტარზე მას წელს უკვე მოკრეფილი აქვს 2.513 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ლიდა ტობჩიევას კი—2.309 კილოგრამი, თამარ ბურჭულაძეს — თითქმის ამდენივე. ასეთი მოწინავე მეურნეობაში მრავალია.

კარგად მუშაობს ნასაკირალის ჩაის ფაბრიკა (დირექტორი თამარ სურგულაძე, მთავარი ტექნოლოგი პ. გიგინეიშვილი). ფაბრიკა წელს დღეში, ნაცვლად 24 ტონისა, ზოგჯერ 40 ტონა ჩაის ფოთოლს ამუშავებს. უკვე გამოშვებულია 140,7 ტონა მზაპროდუქცია, გეგმის 108,1 პროცენტი, აქედან „ექსტრა“—198 პროცენტი, უმაღლესი ხარისხისა—117 პროცენტი. განსაკუთრებით კარგად მუშაობენ მორიგე ტექნოლოგი მ. ღლონტი, საამქროს ოსტატი ა. ცხომელიძე, მექანიკოსი პ. შრამკო, ზეინკალი ი. შიპი.

მიუხედავად ამ წარმატებისა, რაიონში ზოგან სათანადო ყურადღება არ ექცევა ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავებას. ცალკეულ კოლმეურნეობებში მოუგვარებელია ფოთლის დროული და წესიერი კრეფა, მუშაობის ტემპი და ხარისხი ყველგან არ არის დამაკმაყოფილებელი. შრომის მოუწესრიგებლობისა და აგროწესების გაუტარებლობის შედეგად ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმები თითქმის სანახევროდაც არ შეუსრულებიათ, ხოლო ივლისში ფოთოლს იშვიათად ჰკრეფენ ჭანიეთის, ნიაბაურის, ქვედა ბახვის, მახარაძის, ნაგომრის, ჭალის და ზოგიერთი სხვა კოლმეურნეობები, მათ ივლისის დავალება წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით მხოლოდ 10-20 პროცენტამდე აქვთ შესრულებული.

ჩამორჩენას ადგილი აქვს ჩაის ფოთლის მიღება-ჩაბარებაშიც. იმის გამო, რომ საქმეს სათანადო პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ, გურიანთის კოლმეურნეობის ზედობნის პუნქტის გამგე გ. დეისაძემ 594 კილოგრამი მეორე ხარისხის ჩაის ფოთოლი პირველ ხარისხში მიიღო. ასევე მოიქცა ამავე კოლმეურნეობაში კახურის პუნქტის გამგე ი. ტოტოჩავა, სოფელ კონჭკათის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში პირველი პუნქტის გამგე ზ. დოლიძე.

ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად გადამჭრელი ზომები უნდა მივიღოთ. წარმატებით შევასრულოთ ჩაის დარგში ნაკისრი ვალდებულებანი. აუცილებელია კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ ჩაის ბუჩქების მოვლა-დამუშავება, მეტი ყურადღება მივაქციოთ პლანტაციებში კულტივაციის ჩატარებას, იქ, სადაც საჭიროა, მოვრწყოთ პლანტაციები, დავიცვათ კრეფის ხარისხი და მოწინავე მეჩაიეთა გამოცდილება ყველას კუთვნილებად გავხადოთ.

ტ. თოდრაძე

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

საქართველოს საქალაქო და რაიონული თეატრების

რესპუბლიკური დათვალიერება

თელავის სახელმწიფო თეატრის დადგმები

საქართველოს საქალაქო და რაიონული თეატრების დათვალიერებამ ბევრი კარგი შემოქმედებითი კოლექტივი გამოავლინა. მათ შორის უთუოდ გამოირჩევა თელავის ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო თეატრი, რომელმაც დედაქალაქის მაყურებელს თავისი დადგმები უჩვენა ამ დღეებში. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ თელავის სახელმწიფო თეატრმა თავისი მხატვრული პროდუქციით სათანადო მორალური და ესთეტიკური კმაყოფილება მოჰგვარა ჩვენს მაყურებელს. ეს კმაყოფილება შექმნა ამ თეატრის მიერ დათვალიერების მეორე ტურზე წარმოდგენილი სპექტაკლების მხატვრულმა ხარისხმა, მათი შესრულების უბრალოებამ და დამაჯერებლობამ.

თელავის სახელმწიფო თეატრმა თბილისის მაყურებელს უჩვენა ორი სპექტაკლი: ს. შანშიაშვილის „ხევისბერი გოჩა“ (ალ. ყაზბეგის ამავე სახელწოდების ცნობილი რომანის მიხედვით) და ჯ. გოუსა და ა. დიუსოს „ღრმა ფესვები“. — ორივე დადგმა ეკუთვნის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს შ. მეავანაძეს.

„ხევისბერ გოჩას“ ჩვენი მაყურებელი იცნობს იმ შესანიშნავი დადგმით, რომელიც უკვე კარგა ხანია განახორციელა რუსთაველის სახელობის თეატრმა. ამიტომ სავსებით გასაგებია ის ინტერესი, რომლითაც თეატრის დარბაზი შეეგება თელაველთა ამ სპექტაკლს. თელავის სახელმწიფო თეატრის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისმა დადგმამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და იგი მიჩნეულ იქნა ერთ-ერთ საყურადღებო მოვლენად დათვალიერების პროცესში.

დამდგმელს აღნიშნული სპექტაკლი რეალისტური ხერხებით აქვს შესრულებული იმ გმირული რომანტიკის ელემენტების დაცვით და წინა პლანზე წამოწევით, რაც ასე ძლიერ ახასიათებს ალ. ყაზბეგის მთელ შემოქმედებას. მოწონების ღირსია სპექტაკლის სანახაობითი მხარე თავისი ზომიერებით და არა ეგზოტიკური კოლორიტულობით.

მსახიობთა შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ონისეს როლის შემსრულებელი პ. ახვლედიანი. მას საკმაოდ ძლიერი ტემპერამენტი აღმოაჩნდა იმისათვის, რომ წარმოესახა კეთილშობილური ტრფობის გრძნობით ანთებული მთიელი ვაჟკაცი. მსახიობ პ. ახვლედიანს ონისეს ბუნება ღრმა შინაგანი სითბოთი აქვს დახატული.

სპექტაკლში უთუოდ გამოირჩევა მსახიობი გრ. კველიშვილი, რომელიც ხევისბერის როლს ასრულებს. მის მიერ განხორციელებული გოჩა ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს მაყურებელზე. მსახიობის თამაშში იგრძნობა ის გონივრული თავდაჭერა და დარბაისლობა, რაც ა. ყაზბეგის რომანის მიხედვით ხევის წინამძღოლს უნდა ახასიათებდეს.

მსახიობი ქ. ბოჭორიშვილი ძიძიას როლს ასრულებს. ეს მხატვრული სახე დიდ ნიჭსა და დაკვირვებულ მუშაობას მოითხოვს მსახიობისაგან. მან უნდა გვიჩვენოს სიყვარულის გრძნობით დატანჯული ამაყი მთის ასული, რომლის მთელი შინაგანი სამყარო იწვის ღრმა სულიერი ჭიდილის გამო. ამ სულიერი მღელვარებისა და აფორიაქების გადმოსაცემად საჭიროა დიდი შინაგანი იმპულსი და აქტიორული ოსტატობა. მიუხედავად იმისა, რომ ქ. ბოჭორიშვილმა მშვენივრად დაიწყო თავისი ამოცანის შესრულება და ბევრ ადგილას საკმაოდ ძლიერ ეფექტებსაც მიაღწია, მან ბოლომდე ვერ შესძლო სრული დამაჯერებლობით მოეცა ძიძიას სცენიური სახე. იგი ხშირად სახის წარმოსაქმნელად გარეგნულ ხერხებს უფრო მეტ უპირატესობას აძლევდა, ვიდრე სულის შინაგანი მოძრაობით როლის გააზრებას.

კარგად წარმოგვიდგინა საყვარელი ქალის მიერ უარყოფილი და თემისაგან განდევნილი ადამიანის ბუნება ნიჭიერმა მსახიობმა ა. კუპატაძემ გელას როლის შესრულებით.

ახალგაზრდა მსახიობმა ბ. ბეგიჯანოვმა ცოცხალი ფერებით დაგვიხატა მეგობრისათვის თავდადებული, კეთილშობილი რაინდის მათიას სახე.

თავიანთი ნიჭიერი და დაკვირვებული თამაშით გამოირჩეოდნენ მსახიობები ქ. კველიშვილი (ხაზუა), ა. მოსეშვილი (ანო), ვ. ჩელთისპირელი (ჭაბუკა ჭორტანელიძე).

მთის ლაღი ბუნება იგრძნობა მხატვარ დ. ბალარჯიშვილის დეკორაციულ გაფორმებაში. სპექტაკლის საერთო განწყობილებას ეხმაურება კომპოზიტორ ვ. შავერზაშვილის მუსიკა.

* * *

ჯ. გოუს და ა. დიუსოს დრამა „ღრმა ფესვები“ გვიხატავს კაპიტალისტური სამყაროს ლპობას, იმ ველურ ადათებს, რომლნიც „ცივილიზებული“ ამერიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბატონობენ. ერთი ამერიკელი კაპიტალისტის ოჯახის ცხოვრების ფონზე პიესაში მოცემულია განწირულება იმ ურთიერთობისა, რაც კაპიტალიზმის მგლურმა კანონმა დაამყარა ადამიანთა შორის. ეს ნაწარმოები, როგორც მწვავე პოლიტიკური პამფლეტი, დაუნდობლად ამათრახებს ამ კანონს, მის მიერ დანერგილ უსამართლობას და იძლევა იმის გარდუვალობის ღრმა რწმენას, რომ მთელი კაპიტალისტური სისტემა დასაღუპავად არის განწირული.

ნაწარმოების სწორედ ეს მთავარი მოტივი არის ხაზგასმით წარმოდგენილი თელავის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლში. პიესის აღნიშნული მთავარი იდეის მკაფიო გამოსახვას ემსახურებიან დადგმის უმთავრესი მომენტები. ამ მთავარი ხაზით წარიმართება სპექტაკლის რეჟისორული დამუშავება, რითაც მას ენიჭება დიდი პოლიტიკური სიმახვილე და შემეცნებითი ღირებულება.

ამ სპექტაკლის უმთავრეს ღირსებას წარმოადგენს მსახიობთა თამაში. მათ მიერ შესრულებულ როლებს გულწრფელობისა და ძალდაუტანებლობის იერი აზის. აქ მაყურებელი არ გრძნობს არავითარ ყალბ პათოსს და დეტონაციას, რითაც უზრუნველყოფილია სპექტაკლის სტილისტური მთლიანობა.

პიესაში ავტორებს წამყვან სახედ მიჩნეული ჰყავთ ბრეტი, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის დროს თავი გამოიჩინა როგორც ფაშისტთა ურდოების წინააღმდეგ თავდადებულმა მებრძოლმა. მაგრამ როცა ომი დამთავრდა და ბრეტი შინ დაბრუნდა, იგი, როგორც ზანგი, არათანასწორუფლებიან მოქალაქედ არის ჩათვლილი ამერიკაში. ამის შედეგად ბრეტი რწმუნდება, რომ კაპიტალისტურ სამყაროში ფაქტიურად არაფერი არ შეცვლილა, რომ მას მანამდე უწევდნენ ანგარიშს, ვიდრე იგი საზარბაზნე ხორცად გამოადგებოდა „თეთრ ბატონებს“, ხოლო როცა ამ საჭიროებამ განვლო, იგი კვლავ არასრულუფლებიან, ღირსებაახდილ ქმნილებად ჩასთვალეს. ამის შედეგად ბრეტის არსებაში მკვიდრდება პროტესტანტული სულისკვეთება. გმირის ეს სულიერი განწყობილება დამაჯერებლად გამოხატა მსახიობმა პ. ახვლედიანმა.

სენატორ ლენგდონის როლს ასრულებს მსახიობი ვ. ჩელთისპირელი. მან კარგი აქტიორული ალღოთი განასახიერა გულქვა და მედიდური ამერიკელი სენატორის გადაგვარებული, ადამიანურობას მოკლებული მხეცური ბუნება.

მსახიობი გ. კველიშვილი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანის ჟურნალისტ ჰოვარდის როლში. იგი იძლევა მოწინავე ინტელიგენტის ცოცხალ, დამაჯერებელ სახეს.

სენატორ ლენგდონის ასულ ელაისის როლს ასრულებს მსახიობი ქ. ბოჭორიშვილი. მას მოხერხებულად აქვს გამოყენებული თავისი აქტიორული შესაძლებლობანი, რათა მკაფიოდ გადმოეცა განებივრებული არისტოკრატი ქალის ბუნება.

გულწრფელობა იგრძნობა მსახიობ ჯ. რუდელატის თამაშში, რომელიც ჯენევრას როლს ასრულებს. მისი სახით თეატრს უთუოდ თვალსაჩინო შემოქმედებითი ძალა ჰყავს.

კარგად ასრულებდნენ თავიანთ როლებს მსახიობები ქ. კველიშვილი (ზანგის ქალი ბელა) და ა. მოსეშვილი (ზანგის გოგონა ჰანეი).

ყურადღების ღირსია მხატვარ ე. ნირიანაშვილის დეკორაციული ნამუშევარი.

თელავის სახელმწიფო თეატრს არჩეული აქვს სწორი გზა. მას ყველა შესაძლებლობა აქვს შემოქმედებითი მუშაობის გაღრმავებით მოიპოვოს კიდევ უფრო მეტი წარმატებანი.

მ. თუშიშვილი

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

ნუთუ არ შეიძლება ეს მოგვარდეს?

„კომუნისტის“ 8 ივლისის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტის ამხ. პ. ჭიოკაძის წერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ მოუგვარებელია დაშორებული სოფლებიდან ჭიათურის მაღაროებამდე ტრანსპორტით მუშების გადაყვანა. ბევრი მუშა მაღაროებიდან დაშორებულია 15-20 კილომეტრით. ამიტომ ხდება, რომ ორშაბათს ისინი სამუშაოს ველარ უსწრებენ, აგვიანდებათ ან სულ უცდებათ დღე. ჭიათურაში მეტი შესაძლებლობაა მოეწყოს მუშების მანქანებით გადაყვანა, მაგრამ ჭიათურის მარგანტრესტის ხელმძღვანელებმა შორს მცხოვრებ მუშათა ავტოტრანსპორტით გადაყვანა სრულიად მიივიწყეს.

ჭიათურის მარგანტრესტის მმართველი ამხ. ანდღულაძე გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. ა. წ. 8 ივლისს მარგანტრესტმა დამატებით მიიღო ავტომანქანები და გამოჰყო 10 ავტომანქანა მაღაროებიდან სოფლად მუშების გადასაყვან-გადმოსაყვანად.

ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმი დიდ მეცნიერულ მუშაობას ეწევა ებრაელთა ეთნოგრაფიული და ისტორიული მასალების შეგროვება-შესწავლის საქმეში. მუზეუმში დაცულია ძვირფასი ხელნაწერი ძეგლები, პალიმფსესტები, სამკაულები და სახვითი ხელოვნების იშვიათი ნიმუშები. აქ წარმოდგენილი მასალები განლაგებულია სტენდებზე და უტყუარ ცნობებს იძლევა ებრაელების—ამ უძველესი ერის ცხოვრებაზე, საქმიანობასა და ადათ-ჩვეულებებზე.

გამოფენის ისტორიული განყოფილება მიძღვნილია საქართველოს ებრაელთა მოსახლეობის ცხოვრებისადმი უძველესი დროიდან მე-19 საუკუნემდე. აქვე მოთავსებულია სურათი „მცხეთის მამასახლისთან“, რომელიც ასახავს ებრაელთა თხოვნას მცხეთის მამასახლისთან, რათა მათ იქ დასახლების ნება დაერთოთ. გვხვდება კანონები საქართველოს ებრაელების შესახებ, რომლებიც „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“ და სხვა პირველწყაროებშია ასახული. მე-19 საუკუნეში საქართველოს ებრაელთა შორის ფართოდ გავრცელდა კარაიმული მოძრაობა. ებრაელთა ამ მოძრაობას შესანიშნავად ასახავენ ერთ-ერთ სტენდზე უხვად განლაგებული მასალები. განყოფილებაში „საქართველოს ებრაელები, როგორც სეფარადები“ მოცემულია ებრაელთა ორი ჯგუფი—აშქენაზები და სეფარადები. ქართველ ებრაელთა კულტურულ და რელიგიურ ურთიერთობას სეფარადებთან ადასტურებს შესანიშნავი ძეგლები—ლაილაშის ბიბლია, ბრეთის ანუ ავალიანთ ბიბლია და ჰაინურაშვილების ფსალმუნი, რომლებიც მუზეუმში დაცულია ლენტების სახით და წარმოადგენს რამდენიმე ათეულ მეტრზე კალიგრაფიულად დაწერილ პერგამენტს.

ცნობილია, რომ ფეოდალურ ხანაში ებრაელები აღებმიცემობასა და წვრილმან ვაჭრობას ეწეოდნენ. იყო გამონაკლისი, როდესაც ყმა ებრაელი მიწასაც ამუშავებდა. საქართველოს ებრაელობა ერთ მთლიან სოციალურ წრეს კი არ წარმოადგენდა, არამედ ერთმანეთის მიმართ კლასობრივად დაპირისპირებულ სოციალურ კატეგორიებს. ღარიბ ებრაელს არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდა მდიდართან იგი ისევე იყიდებოდა, როგორც ყმა გლეხი ხშირი იყო მათი გატაცება, ამას შესანიშნავად ასახავს გამოფენის ერთი სტენდი.

ებრაელთა სოციალური დაპირისპირება განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. მეათე სტენდი ასახავს მათს დიფერენციაციას. ისინი სამ ჯგუფად განიყოფებოდნენ: დიდ, საშუალო შეძლების და მცირე შეძლების მქონეებად. მათ შორის შეურიგებელ კლასობრივ ბრძოლას ნათლად ასახავს ამ სტენდზე მოთავსებული სურათები და მატერიალური ძეგლები. გარდა ვაჭრობისა, ისინი მაშინ ეწეოდნენ ხელოსნობას, შინამრეწველობას, შემონახულია ცნობები ხელოსნებისა და შინამრეწველების მიერ შეგირდების ექსპლოატაციის შესახებ.

მეფის თვითმპყრობელობა საქართველოში ისე, როგორც მთელ რუსეთში ხელოვნურად აღვივებდა ანტისემიტიზმს. სდევნიდა მცირე ერებს და დასჯის ათასნაირ საშუალებებს იგონებდა მათ დასაჩაგრავად. გამოფენაზე არის მასალა, რომელიც ასახავს 1850 წელს სურამის ებრაელთა დასჯის რიტუალს, რომელსაც ანტისემიტური ხასიათი ჰქონდა. ანტისემიტურ ნიადაგზე იყო შეთითხნილი აგრეთვე საჩხერის ებრაელთა გასამართლებაც, რომელმაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა საზღვარგარეთ. საერთო პროტესტით დაშინებული თვითმპყრობელობა იძულებული გახდა თავისი ბრალდება უკან წაეღო და „ბრალდებულნი“ გაემართლებინა.

1905 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს ქართველ ებრაელთა მდიდარი ნაწილი რევოლუციის წინააღმდეგ აშკარა და ფარულ ბრძოლას აწარმოებდა, ხოლო ღარიბი ფენები მყისვე დადგნენ რევოლუციის მხარეზე. ისინი რევოლუციას უყურებდნენ, როგორც ერთადერთ საშუალებას ეროვნული მონობის მოსასპობად. გამოფენის თითქმის მთელი განყოფილება ასახავს ებრაელთა ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ და ცნობილი ებრაელი რევოლუციონერის იცკა (აბრამ) რიჟინაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

აქვე ნაჩვენებია ებრაელთა ცხოვრება მენშევიკების ბატონობის დროს. ამ პერიოდში ებრაელთა ეკონომიური პირობები მკვეთრად გაუარესდა, რასაც მოჰყვა კულტურული ზრდის შეფერხება. იკლო მოსწავლე ებრაელთა რიცხვმა საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში.

გამოფენის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში უხვად არის წარმოდგენილი ფოტოსურათები, ჩანახატები, მაკეტები ებრაელთა საცხოვრებელი სახლებისა, ტანსაცმლის ნიმუშები და სხვ. შემდეგ სტენდზე ასახულია ებრაელთა ყოფაცხოვრების რიტუალები. რამდენიმე სტენდი დათმობილი აქვს ებრაული რელიგიის კლასობრივ და რეაქციულ ხასიათს. აქ წარმოდგენილი მასალები გვიჩვენებენ ებრაელი სასულიერო პირების სამსახურს ცარიზმთან.

ამ განყოფილებაში უხვად არის წარმოდგენილი მასალები—ქართველი კლასიკოსები ებრაელთა შესახებ. აქ მოთავსებული მასალები გვიამბობენ ქართველთა და ებრაელთა მრავალსაუკუნეობრივ ძმურ ცხოვრებაზე. აქ არის საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა შესახებ ქართულ ენაზე დაწერილი პირველი წიგნი ზაქარია ჭიჭინაძისა—„ქართველი ისრაელნი საქართველოში“. წიგნი წარმოადგენს მოკლე ისტორიულ ნარკვევს საქართველოს ებრაელთა შესახებ. სტენდზე წარმოდგენილია ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის და ირ. ევდოშვილის მიმართვები ებრაელებისადმი: „დადგება დრო, ერთი ჩაგვრა მოისპობა და თქვენც თავისუფლად ამოისუნთქავთო“. აკაკის ამ წინასწარმეტყველურმა სიტყვებმა თავისი დადასტურება ჰპოვეს ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში გახდა შესაძლებელი ერთა შორის უთანასწორობის მოსპობა. ებრაელთა ხალხი საბჭოთა სხვა ხალხებთან ერთად მტკიცედ დაადგა სოციალისტური მშენებლობის გზას.

უკანასკნელი განყოფილება ასახავს ებრაელთა ცხოვრებას საბჭოთა საქართველოში. ებრაელებს რევოლუციამ მისცა განათლების, შრომის, კულტურული დასვენების უფლება. ნაჩვენებია ებრაელთა კოლმეურნეობები საქართველოში, დაწვრილებით არის აღწერილი ებრაელთა კოლმეურნეობა „წითელკორის“ ცხოვრება. წვრილმანი ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის ნაცვლად ებრაელი მშრომელნი საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას ეწევიან. მრეწველობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში, — ყველგან ნაყოფიერად მუშაობენ ისინი ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისათვის. შემდეგ სტენდზე წარმოდგენილია მასალები ფაშიზმის გამანადგურებელი პოლიტიკის შესახებ ებრაელების მიმართ და ქართველ ებრაელთა მონაწილეობა დიდ სამამულო ომში.

გარდა ჩამოთვლილი განყოფილებებისა, მუზეუმს აქვს დამხმარე გამოფენები. ერთი მათგანი ასახავს ებრაელი ხალხის საყვარელი შვილის, ებრაული ლიტერატურის ფუძემდებლის შოლომ ალეიხემის ცხოვრებასა და შემოქმედებას და თვითნასწავლი მხატვრის შალომ კობიაშვილის შემოქმედებას.

ებრაელთა მუზეუმს მეცნიერთა დიდი აქტივი ჰყავს. შექმნილია სამეცნიერო საბჭო, რომელშიც მონაწილეობენ ცნობილი მეცნიერები—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ნ. ბერძენიშვილი, პროფესორები ამირანაშვილი, მელიქსეთ-ბეგი, ჩხეტია და სხვები.

მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლებს დიდ დახმარებას უწევს იქვე არსებული ბიბლიოთეკა, სადაც რამდენიმე ათასი წიგნია.

ამჟამად მუზეუმი (დირექტორი ა. კრიხელი) ინტენსიურ მუშაობას ეწევა ქალაქ ქუთაისში აღმოჩენილი ებრაული ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლაზე, პარალელურად ეწყობა ექსპედიციები ქარელში, რისი მიზანიც არის ებრაელთა ყოფაცხოვრების შესწავლა.

მ. ვარდოსანიძე

ჩვენ გვწერენ

მეტი ყურადღება ვეძისს

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ერთ-ერთი ლამაზი უბანია ზემო ვეძისი. აქ რამდენიმე წლის წინათ დაგეგმილ, სწორ და განიერ ქუჩებს ამშვენებენ კაპიტალურად ნაგები აგურის ლამაზი საცხოვრებელი სახლები. ვეძისი ახლად დასახლებული უბანია, იგი ახლა იფურჩქნება და ვითარდება. მას ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია, რაც მის ბუნებრივ სილამაზეს ერთიორად გაზრდიდა. თავიანთი უბნის პატრიოტები არიან ვეძისელები. მათი სურვილია, ეს უბანი დედაქალაქის ერთ-ერთი მოწინავე რაიონის კეთილმოწყობილ უბნად აქციონ. ამიტომ მოითხოვენ სათანადო ორგანოებისაგან ყურადღებასა და დახმარებას.

რას უნდა მიექცეს პირველ რიგში ყურადღება, რა უნდა გაკეთდეს?

ვაჟთა 32-ე საშუალო სკოლაში სწავლობენ ვეძისელი ახალგაზრდები. ეს სკოლა ვეძისიდან დაშორებულია 2-3 კილომეტრით. ვეძისიდან სკოლამდე არ არის დაგეგმილი ქუჩა, რომელზეც დროებით მაინც შეიძლებოდეს ქვიშის დაყრა და ისე მოწყობა, რომ ბავშვები უგზოობის შედეგად დატალახიანებული არ მიდიოდნენ სკოლაში.

ქუჩებისაგან გამოყოფილი არ არის ხალხის სასვლელი ტროტუარები, რომ ჯერჯერობით ისინი მაინც მოასფალტდეს ან ქვიშა დაეყაროს. გარდა ამისა, ქუჩების გამწვანება რომ მოვინდომოთ, არავინ იცის სად დარგოს მცენარეები. ამის დაგეგმვა არც დიდ ხარჯს მოითხოვს და არც დიდ შრომას. ამ საქმეში გვესაჭიროება მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის დახმარება.

რამდენიმე წლის წინათ მოსახლეობის ინიციატივითა და სახსრებით, ელექტროფიცირებულ იქნა ვიბორგისა და ზოვრეთის ქუჩები და ამ ქუჩებზე მდებარე მრავალი საცხოვრებელი სახლი. ამ უკანასკნელ წლებში მოველოდით მთელი უბნის ელექტროფიკაციას, მაგრამ ამ საქმეში არავინ დაგვეხმარა. უფრო მეტიც. „თელასის“ დირექციამ სინათლის მოცემა სულ შესწყვიტა, ხოლო მონტიორებმა ზოგიერთ ბოძზე ელექტროხაზებიც შესჭრეს. ამის თაობაზე რამდენჯერმე დავაყენეთ საკითხი „თელასის“ დირექციაში, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.

უბანი 2,5 კილომეტრით არის დაშორებული საფოსტო განყოფილებას. ახლომახლო არსად არ არის ტელეფონი, რომლითაც შეგვეძლოს ქალაქთან დაკავშირება. წერილის გასაგზავნადაც რამდენიმე კილომეტრის გავლაა საჭირო. თუ უბანში საფოსტო განყოფილების გახსნა არ შეიძლება, მაშინ რატომ არ შეიძლება უბნის ცენტრში ერთი საფოსტო ყუთის დადგმა მაინც, რომ წერილების გასაგზავნად რამდენიმე კილომეტრის გავლა არ დაგვჭირდეს? საჭიროა ამ მხრივ დაგვეხმარონ კავშირგაბმულობის ორგანოები.

უბნის მოსახლეობას სამედიცინო მომსახურებას უწევს მე-8 პოლიკლინიკა, რომელიც მდებარეობს საბურთალოს საკოლმეურნეო ბაზართან. იგი ჩვენს უბანს დაშორებულია 2-3 კილომეტრით. ამ სიშორის გამო საკმაო სამედიცინო მომსახურება არა გვაქვს. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ ეს და გახსნან პოლიკლინიკა ზემო და ქვემო ვეძისის ცენტრში, ან აღნიშნული პოლიკლინიკა ტერიტორიულად მაინც დაუახლოვონ ამ უბნებს. საჭიროა აგრეთვე განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა იზრუნონ ვეძისში საბავშვო ბაღისა და ბაგის გახსნაზე.

პროფესორი **ალ. ბაკურაძე**
პედაგოგი **ს. როინიშვილი**

მთელი მსოფლიოს მშრომელები ჰგმობენ ამხანაგ ტოლიატიზე ავაზაკური თავდასხმის ორგანიზატორებს

ჩინეთი

ჩრდილოეთი შენსი, 17 ივლისი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, 15 ივლისს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ მაო-ძე-დუნმა იტალიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა დეპეშა იტალიის კომუნისტური პარტიის ლიდერ ტოლიატიზე თავდასხმასთან დაკავშირებით. დეპეშაში ნათქვამია: „ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღშფოთება გამოიწვია ცნობამ იტალიელი რეაქციონერების თავდასხმის შესახებ. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თანაგრძნობას უცხადებს ამხანაგ ტოლიატის“.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა

ულან-ბატორი, 17 ივლისი. (საკდესი). მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა იტალიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს: მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღშფოთება და უდიდესი გულისწყრომა გამოიწვია ცნობამ იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივან პალმირო ტოლიატიზე ავაზაკური თავდასხმის შესახებ, რომლის ორგანიზატორები და სულისჩამდგმელები არიან იტალიელი ხალხის და მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უბოროტესი მტრები—იტალიელი რეაქციონერები და უცხოელი იმპერიალისტები, თავისუფლებისა და დემოკრატიის ჩამხშობნი.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მთელი პარტიის სახელით, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით. რომლებიც ღრმა სიმპათიით ეკიდებიან იტალიელი ხალხის ბრძოლას და უდიდესი აღშფოთებით აცხადებენ პროტესტს იტალიის მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა ბელად ამხანაგ პალმირო ტოლიატიზე საზიზღარი თავდასხმის წინააღმდეგ, გულწრფელად უსურვებს მალე განკურნებას ამხანაგ ტოლიატის და ახალ წარმატებებს იტალიის კომპარტიას მის ბრძოლაში იტალიელი ხალხის დემოკრატიული თავისუფლებისათვის“.

ულან-ბატორი, 17 ივლისი. (საკდესი). დღეს ულან-ბატორის ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში შესდგა მასობრივი საპროტესტო მიტინგები რეაქციის სისხლიან ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ, რომელმაც ხელი აღმართა იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელზე. მიღებულ რეზოლუციებში მიტინგების მონაწილეებმა ერთსულოვნად დაჰგმეს იტალიელი ხალხის მტრების სისხლიანი დანაშაულობანი და გამოუცხადეს მხურვალე თანაგრძნობა იტალიის მუშათა კლასსა და ყველა მშრომელთ მათს ბრძოლაში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, თავიანთი დემოკრატიული უფლებებისათვის. მონღოლეთის დედაქალაქის მშრომელებმა მიტინგებზე გამოსთქვეს თავიანთი მისწრაფება კიდევ უფრო ძლიერ განამტკიცონ დემოკრატიული ანტიიმპერიალისტური ბანაკი, რომელსაც სათავეში უდგას დიდი საბჭოთა კავშირი.

ბულგარეთის მშრომელები ჰგმობენ პალმირო ტოლიატიზე ავაზაკური თავდასხმის ორგანიზატორებს

სოფია, 18 ივლისი. (საკდესი). იტალიის მუშათა კლასის ბელად და იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივან პალმირო ტოლიატიზე ავაზაკურმა თავდასხმამ მთელი ბულგარელი ხალხის ღრმა აღშფოთება გამოიწვია.

ბულგარეთის სახალხო ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა იტალიელი ახალგაზრდობის ფრონტის ხელმძღვანელ კომიტეტს გაუგზავნა დეპეშა, სადაც ნათქვამია, რომ რეაქცია იმიტომ მიმართავს ტერორისტულ მეთოდებს, რომ გრძნობს თავის უძლურებას იტალიელ ხალხთან ბრძოლაში, რომელიც თავისი ქვეყნის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას იცავს. ბულგარელი ახალგაზრდობა უსურვებს ტოლიატის მალე გაჯანსაღებას და ახალ წარმატებებს დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ბულგარეთის მაღაროელებმა იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციას მიმართეს დეპეშით, რომლითაც გამოსთქვამენ თავიანთ აღშფოთებას გათავხედებული რეაქციის მოქმედების გამო, რომელმაც ხელი აღმართა იტალიის მუშათა კლასის ბელადზე.

ტოლიატიზე თავდასხმა, სწერს დღეს გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“, გაფრთხილებას წარმოადგენს ყველა ხალხისათვის. იგი მოწმობს, რომ რეაქცია მანამდე არ შესწყვეტს თავის ბოროტმოქმედებას, სანამ იგი არსებობს. და მანამდე, სანამ პირისაგან მიწისა არ გაქრებიან ფაშიზმის უკანასკნელი ნაშთები, არ შეიძლება შევასუსტოთ დემოკრატიული ძალებისა და მათი კომუნისტური ავანგარდის სიფხიზლე. გაზეთი მოუწოდებს მუშათა კლასის ერთიანობის განმტკიცებისაკენ.

ტოლიატის ჯანმრთელობის მდგომარეობის ბიულეტენი

რომი, 19 ივლისი. (საკდესი). დღეს დილით გამოიცა ტოლიატის ჯანმრთელობის მდგომარეობის ბიულეტენი, სადაც ნათქვამია:

„საერთო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ფილტვის მდგომარეობა უმჯობესდება, ტემპერატურა დაბლა იწევს. ოპერირებული ორგანოების მდგომარეობა კვლავინდებურად ჩინებულია. პულსი—94, სუნთქვა — 28, წნევა — 120-75. ხელს აწერენ პროფესორები ფრუგონი და ვალდონი და დოქტორი სპალონე“.

რომი, 20 ივლისი. (საკდესი). გაზეთი „უნიტა“ იუწყება, რომ ამხანაგ ტოლიატის ჯანმრთელობის მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. უკანასკნელ ორ ღამეს ავადმყოფს მშვიდად ეძინა. ექიმებმა ნება დართეს უფრო სხვადასხვანაირი საჭმელი მიიღოს.

19 ივლისს დილით ტოლიატი ანახეს კომპარტიის გენერალური მდივნის მოადგილეებს ლონგოსა და სეკიას. იგი მათ მიესალმა ხელის ოდნავ აწევით, ვინაიდან ექიმებმა, ორგანიზმის მოქანცვის შიშით, ლაპარაკი აუკრძალეს, და ავადმყოფი ზუსტად ასრულებს მათს მითითებებს.

ტოლიატის ჯანმრთელობის მდგომარეობა

რომი, 18 ივლისი. (საკდესი). 14 ივლისს ნაშუადღევს ოპერაციის გაკეთების შემდეგ პალმირო ტოლიატი რომის ცენტრალურ კლინიკაში წევს, სადაც მას გულმოდგინედ უვლიან ექიმები. ქირურგიულ მეთვალყურეობას უწევს მილანის ცნობილი ქირურგი პროფესორი ვალდონი, რომელმაც მას ოპერაცია გაუკეთა და ტყვიები ამოუღო. საერთო სამედიცინო მეთვალყურეობას უწევს შინაგან სნეულებათა გამოჩენილი იტალიელი სპეციალისტი პროფესორი ფრუგონი. ავადმყოფის მდგომარეობის ბიულეტენი ქვეყნდება მეთვალყურე და მკურნალი ექიმების პერიოდული კონსილიუმის შემდეგ და რეგულარული გამოკვლევის საფუძველზე. უკანასკნელ დღეებში ავადმყოფს დროდადრო ეძინა, დღეში ორჯერ სჭამდა, მადა არ ქონდა.

ტოლიატის ცოლი — სენატორი რიტა მონტანიანა და ვაჟი ალდო, რომელნიც ტურინიდან ჩამოვიდნენ, მუდამ კლინიკაში იმყოფებიან, მაგრამ ავადმყოფს იშვიათად ნახულობენ ექიმების სპეციალური ნებართვით. კომუნისტური პარტიის მდივნის მოადგილე პიეტრო სეკია ერთხელ მიუშვეს ტოლიატისთან მოკლე ხნით. ექიმებმა კატეგორიული განკარგულება გასცეს, რომ პალატაში არ შეუშვან ტოლიატის არც ერთი თანამშრომელი და მეგობარი. კლინიკის მისაღებ დარბაზში მუდამ იმყოფებიან კომპარტიისა და სახალხო დემოკრატიული ფრონტის ხელმძღვანელები, პოლიტიკური მოღვაწეები, დეპუტატები და ავადმყოფის მეგობრები. ქუჩაში კლინიკის შენობის წინ თავმოყრილი არიან რომის მშრომელები, რომელნიც ელოდებიან საყვარელი ბელადის ჯანმრთელობის ცნობებს.

ექიმების სიტყვით, ტოლიატი განსაკუთრებულ გამძლეობასა და თვითკონტროლს იჩენს. მძიმე ჭრილობის მიღების მომენტიდანვე მას ერთხელ არ დაუჩივლია, ერთხელ არ დაუკვნესია და, ნარკოზის მოქმედების პერიოდს გარდა, მუდამ სრულ გონზე იყო, ზოგჯერ ექიმებს ესაუბრა და კიდევაც გაეხუმრა. ტოლიატიმ არა ერთხელ ითხოვა—უკანასკნელი ცნობები მითხარით და გაზეთები მიჩვენეთო, მაგრამ ექიმები იძულებული იყვნენ არ დაეკმაყოფილებინათ ეს თხოვნა. როგორც გაზეთი „უნიტა“ შენიშნავს, ტოლიატი, შესაძლოა, ერთადერთი ადამიანი იყოს მსოფლიოში, რომელმაც არაფერი იცის, თუ რა მასობრივი საპროტესტო მოძრაობა გამოიწვია იტალიაში და საზღვარგარეთ ავაზაკურმა თავდასხმამ, აგრეთვე რამდენი ათასი დეპეშა და წერილი მიიღო მან მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან.

მდგომარეობა იტალიაში

რომი, 17 ივლისი. (საკდესი). რომში მიღებული ცნობებით, გაფიცვა გრძელდება გენუაში, მილანსა და ჩრდილოეთ იტალიის სხვა ცენტრებში იმასთან დაკავშირებით, რომ ხელისუფალნი უარს ამბობენ საყოველთაო გაფიცვის დროს დაპატიმრებული პირების განთავისუფლებაზე. მთავრობის წყაროები აღიარებენ, რომ ჩრდილოეთში ნორმალური საქმიანობა „მხოლოდ ნაწილობრივ“ განახლდა. გაფიცვას განაგრძობენ მილანის ტრამვაელები. ზოგიერთი საწარმო ჯერ კიდევ დაკავებული აქვთ მუშებს.

იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციაში კათოლიკური მიმდინარეობის წარმომადგენლებმა უარი სთქვეს გამოცხადებულიყვნენ კონფედერაციის აღმასკომის საღამოს სხდომაზე, რომელზეც განსახილველად დასმული იყო საკითხი იმ პოზიციის შესახებ, რასაც ისინი საყოველთაო გაფიცვის მსვლელობაში დაადგნენ. კათოლიკე ლიდერებს ცალკე ჰქონდათ სხდომა მთელი დღის განმავლობაში, რათა გადაეწყვიტათ საკითხი შრომის საყოველთაო კონფედერაციიდან გამოსვლისა მას შემდეგ, რაც წუხელ მათ მოუწოდეს პროფკავშირული ერთიანობის გათიშვისაკენ იმ შემთხვევაში, თუ გაფიცვა დაუყოვნებლივ არ შესწყდებოდა. თუმცა საღამოს გაზეთებმა უკვე განაცხადეს, რომ „გათიშვა მომხდარი ფაქტია“, მაგრამ პროფკავშირთა კათოლიკური მიმდინარეობის ლიდერებს დღეს საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღიათ, მათ დაადგინეს შრომის საყოველთაო კონფედერაციიდან გამოსვლის საკითხი განსახილველად გადასცენ კათოლიკე პროფორგანიზატორთა სპეციალურად მოწვეულ ეროვნულ კონფერენციას.

სარაგატელთა პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა სიმონინიმ განაცხადა, რომ ამ პარტიის წარმომადგენლები პროფკავშირებში მხარს არ დაუჭერენ ქრისტიან დემოკრატებს, თუ ამ უკანასკნელებმა გათიშვა გადასწყვიტეს.

შრომის საყოველთაო კონფედერაციის მდივანმა დი ვიტორიომ განაცხადა, რომ თუ კათოლიკე ლიდერები კონფედერაციიდან წავიდნენ, მათი ადგილები ხელმძღვანელობაში ვაკანტური დარჩება მშრომელ კათოლიკეთათვის, რომლებიც, უეჭველია, დარჩებიან შრომის საყოველთაო კონფედერაციის რიგებში.

რომი, 17 ივლისი. (საკდესი). მილანის, ტურინისა და გენუის საწარმოებსა და რკინიგზის დიდრონ მაგისტრალებზე გაფიცვა შესწყდა. მხოლოდ დღეს დილით იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის ინიციატივით, რომელმაც მშრომელთ მოუწოდა „არ შევასუსტოთ პროფკავშირული დისციპლინა“ თვით ბრძოლის სასარგებლოდ.

ქალაქის ტრანსპორტმა მილანში მუშაობა განაახლა დღეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ტრამვაის მუშაკებმა მიაღწიეს ტრამვაის პარკის დაპატიმრებულ მუშაკთა განთავისუფლებას. მოტის ფაბრიკა გაფიცული მუშების ხელშია. რკინიგზის მიმოსვლა დღეს უნდა აღადგინონ.

გუშინ გრძელდებოდა პოლიციისა და მოსახლეობის შეტაკება იტალიის მრავალ ცენტრში: ბოლონიაში, სიენაში, ნეაპოლსა და ეზოლში. გაზეთების ცნობით, დემონსტრანტებს, აგრეთვე პოლიციელებს შორის არიან მოკლულნი და დაჭრილნი.

უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება პალესტინაში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ

ნიუ-იორკი, 18 ივლისი. (საკდესი). როგორც ასოშეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ამანიდან გადმოგვცემს, ტრანსიორდანიის მეფემ განაცხადა, რომ არაბულმა სახელმწიფოებმა მიიღეს წინადადება მთელ პალესტინაში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ განაცხადა, რომ მას არ მიუღია არავითარი პასუხი უშიშროების საბჭოს რეზოლუციაზე პალესტინაში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ, თუმცა საომარი მოქმედების შეწყვეტის დადგენილი ვადა—15 საათი გრინვიჩით—გავიდა. მაგრამ გაერთიანებული ერების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ შესაძლოა არაბებმა საომარი მოქმედება შეწყვიტეს 15 საათზე გრინვიჩის დროით. ისინი ფიქრობენ, რომ ამ შემთხვევაში არაბები პატივისცემით მოეკიდნენ უშიშროების საბჭოს რეზოლუციას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს ცნობა

ნიუ-იორკი, 19 ივლისი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ ცნობა გამოაქვეყნა, რომ ეგვიპტის პრემიერ-მინისტრმა ნოკრაში-ფაშამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შუამავალს პალესტინაში ბერნადოტს, რომელიც კუნძულ როდოსზე იმყოფება, დეპეშა გაუგზავნა, რომლითაც აცნობებს, რომ ეგვიპტე თანახმაა პალესტინაში დაზავება მოხდეს.

არაბული ქვეყნების ლიგის გენერალური მდივნის წერილი ტრიუგვე ლისადმი

ნიუ-იორკი, 18 ივლისი (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა ტექსტი არაბული ქვეყნების ლიგის გენერალური მდივნის აბდელ რაჰმან აზამ-ფაშის წერილისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი. 18 ივლისს მიღებულ წერილში ნათქვამია, რომ ლიგა დაეთანხმა უშიშროების საბჭოს 15 ივლისის რეზოლუციას პალესტინაში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

მდგომარეობა პალესტინაში

თელ-ავივი, 18 ივლისი. (საკდესი). ისრაელის რადიოს ცნობით, ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა შერტოკმა დღეს შუადღისას შემდეგი დეპეშა გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შუამავალ ბერნადოტს: „იმის გამო, რომ დაზავების დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა და რომ არაბთა პასუხი ჯერ არ მოსულა, ისრაელის მთავრობამ გადასწყვიტა ისრაელის ჯარების ყველა სარდალს გაუგზავნოს ბრძანება, რომ საომარი მოქმედება შესწყვიტონ საღამოს 7 საათზე პალესტინის დროით, ე. ი. თქვენ მიერ დადგენილ საათზე. ისრაელის ჯარები მხოლოდ მაშინ განაახლებენ საომარ მოქმედებას, თუ მეორე მხარემ განაგრძო მოქმედება.

თელ-ავივი, 19 ივლისი. (საკდესი). რადიო „ისრაელის ხმა“ გადმოგვცემს: ისრაელის ჯარების სარდლობის გენერალურმა შტაბმა გამოაქვეყნა ცნობა, რომ სერიოზულად ირღვევა ბრძანება საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

არაბთა ჯარები ბრძოლებს განაგრძობდნენ მიშმარ ჰაიარდენის რაიონში. მაგრამ ეს ბრძოლები გუშინდელზე ნაკლებ დაძაბული იყო. ერაყის არტილერია ბომბავდა აკირის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სოფლებს. ამავე სოფლებზე იერიში მიიტანა ოთხმა ჯავშნიანმა ავტომობილმა. იერიში მოგერიებულ იქნა.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 17 ივლისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, დღეს ეროვნულ კრებაში გრძელდებოდა კამათი სამხედრო ბიუჯეტის საკითხზე. მთელმა რიგმა დეპუტატებმა წამოაყენეს კანონპროექტის შესწორებანი, რომლებიც ითვალისწინებენ სამხედრო ხარჯების შემცირებას. კერძოდ კომუნისტმა პიერ ვილონმა მოითხოვა სამხედრო ხარჯების შემცირება 40 მილიარდი ფრანკით. ვილონმა გააკრიტიკა პოლიტიკა მთავრობისა, რომელიც ომს აწარმოებს ინდოჩინეთში, აგრეთვე გააკრიტიკა არმიის ორგანიზაცია. ვილონის შესწორება უარყოფილ იქნა. სხვა შესწორებათა შორის არის აგრეთვე შესწორება, რომელიც რადიკალებმა წამოაყენეს სამხედრო კრედიტების 12 მილიარდი ფრანკით შემცირების შესახებ.

შეიარაღებული ძალების მინისტრმა ტეტჟენმა უარჰყო ყველა მოთხოვნა სამხედრო ხარჯების 5 მილიარდზე მეტი ფრანკით შემცირების შესახებ.

შემდეგ გამოვიდა შუმანი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა არ მოეთხოვოს მთავრობას ხარჯების იმაზე უფრო შემცირება, რომელზეც იგი დათანხმდა, ე. ი. 5 მილიარდ ფრანკზე მეტით. შუმანმა დასძინა, რომ თუ კრებამ ამ საკითხში მხარი არ დაუჭირა მთავრობას, ეს უკანასკნელი თავისი ფუნქციების შესრულებას ველარ განაგრძობს. შუმანმა შენიშნა, რომ სამხედრო ხარჯები საერთო ბიუჯეტის 31 პროცენტს შეადგენენ.

* * *

პარიზი, 17 ივლისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რობერ შუმანმა ნაციონალური კრების წინაშე დასვა ნდობის საკითხი.

მთავრობისადმი ნდობის საკითხს კენჭს უყრიან 19 ივლისს.

გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭოს მე-7 სესია

ჟენევა, 19 ივლისი. (საკდესი). დღეს ჟენევაში გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭოს მე-7 სესია.

სესიას ესწრება 18 ქვეყნის—სსრ კავშირის, ავსტრალიის, ბრაზილიის, ბელორუსიის, კანადის, ჩილის, ჩინეთის, დანიის, საფრანგეთის, ლიბანის, ჰოლანდიის, ახალი ზელანდიის, პერუს, პოლონეთის, თურქეთის, დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ვენესუელის დელეგაციები.

სსრ კავშირის დელეგაციას მეთაურობს არუთინიანი, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას—ვილარდი და ინგლისის დელეგაციას—მაკნეილი.

სესიის გახსნას წინ უძღოდა დღის წესრიგის შემმუშავებელი კომიტეტის სხდომები. წინასწარი დღის წესრიგი 50 საკითხს შეიცავს.

სამედიცინო დების თბილისის მე-3 სკოლაში მიღების პირობები 1948-49 სასწავლო წელს:

სკოლა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემაშია, ითვლება საშუალო სპეციალურ სასწავლებლად და ამზადებს ექიმის თანაშემწეებს სამედიცინო დის წოდების მიკუთვნებით. მეცადინეობა საღამოს საათებშია ქართულ ენაზე. სკოლა ორწლიანია. მიიღებიან 15-35 წლის ასაკის პირნი, რომელთაც დამთავრებული აქვთ 8 კლასი, ე. ი. არასრული საშუალო სკოლის კურსი. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი ჩაირიცხებიან უგამოცდოდ. მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით.

მისაღები გამოცდები 25-დან 30 აგვისტომდე. გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენაში, არითმეტიკაში და სსრ კავშირის კონსტიტუციაში. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: ავტობიოგრაფია, განათლების მოწმობა (დედანი), მეტრიკული ამონაწერი, ჯანმრთელობის ცნობა, ორი ფოტოსურათი. განცხადებები მიიღება დირექტორის სახელზე საღამოს 6 საათიდან 9½ საათამდე სკოლაში, დიდუბე, ვახუშტის ქ. № 46 (შესავალი სოხუმის ქუჩიდან ეზოში).

თბილისის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ სასწავლებელში 1948-49 სასწავლო წელს მიღების წესები:

1. პედაგოგიურ სასწავლებელში მიიღებიან 14-22 წლის ასაკის ორივე სქესის მოქალაქენი, რომელთაც დაამთავრეს შვიდწლიანი სკოლა 1946 წლამდე ან შემდეგ სასწავლო წლებში 8-წლიანი სკოლა (ან საშუალო სკოლის 8 კლასი).

2. პედაგოგიურ სასწავლებელში შემსვლელნი აბარებენ გამოცდებს 8-წლიანი სკოლის პროგრამების სრული კურსის მოცულობით შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენაში (წერა, ზეპირი), 2. რუსულ ენაში (წერა, ზეპირი), 3. მათემატიკაში (წერა, ზეპირი), 4. სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ზეპირი).

შენიშვნა: მოსწავლეები, რომლებმაც დაამთავრეს 8-წლიანი სკოლა და ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული აქვთ შეფასება „5“, პედაგოგიურ სასწავლებელში მიიღებიან უგამოცდოდ.

3. განცხადება პედაგოგიურ სასწავლებელში შესვლის შესახებ მიიღება 15 აგვისტომდე. განცხადებას თან უნდა დაერთოს: ა) განათლების მოწმობა (დედანი), ბ) ავტობიოგრაფია, გ) დაბადების მოწმობა (დედანი), დ) სამი ფოტოსურათი, ე) ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ, ვ) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ.

4. მისაღები გამოცდები 15-დან 25 აგვისტომდე.

5. პედსასწავლებელში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესით.

თბილისის სამხატვრო აკადემია აცხადებს ასპირანტურაში მიღებას შემდეგ სპეციალობაზე: დაზგური ფერწერა — 1 ადგილი, გრაფიკა — 1 ადგილი.

ასპირანტებად მიიღებიან უმაღლესი სამხატვრო განათლების მქონე მოქალაქენი არაუმეტეს 40 წლის ასაკისა.

განცხადების მიღება სწარმოებს 10 აგვისტომდე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, დიპლომი, დახასიათება მუშაობის ადგილიდან ან სასწავლებლიდან, ცნობა მუშაობის სტაჟის შესახებ (უკეთუ ასეთი აქვს) საბუთი სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ, მხატვრული ნაწარმოები, სამი შემოწმებული სურათი.

გამოცდები იწარმოებს 25 აგვისტოდან შემდეგ საგნებში: მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში, სპეციალურ საგნებში, რუსულ ენაში, ერთ-ერთ უცხო ენაში.

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი სტოკჰოლმში

სტოკჰოლმი, 18 ივლისი. (საკდესი). დღეს მეორე ტურში გათამაშებული რაგოზინ-თანოვსკის პარტია გადაიდო; რაგოზინის მდგომარეობა იმედოა; ბეკ-ბონდარევსკის პარტია გადაიდო თანაბარ მდგომარეობაში. პირც-შტოლცის პარტია იუგოსლაველი ოსტატის პირცის გამარჯვებით დამთავრდა; საბომ მოუგო შტეინერს.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. ტარტაკოვერ-ნაიდორფის პარტიაში თეთრებს უარესი მდგომარეობა აქვთ.

ბრონშტეინ-კოტოვის პარტია თანაბარ მდგომარეობაში გადაიდო.

ტრიფუნოვიჩ-ლილიენტალის პარტიაში ლილიენტალს ერთგვარი უპირატესობა აქვს.

ფლორ-ბოლესლავსკის პარტია გადაიდო, ფლორს ერთით მეტი პაიკი ჰყავს.

გლიგორიჩმა და ლუნდინმა პარტია გადასდეს დაახლოებით თანაბარ პოზიციაში. შტალბერგ-პახმანის პარტია გადაიდო. შტალბერგს უმნიშვნელო უპირატესობა აქვს.

ორი ტურის შემდეგ ტურნირის ლიდერია პირცი, რომელმაც ორი ქულა დააგროვა. ხვალ მესამე ტური გათამაშდება. მესამე ტურში თამაშობენ: კოტოვ-ტარტაკოვერი, ნაიდორფ-შტეინერი, ლილიენტალ-ბრონშტეინი, ბოლესლავსკი-ტრიფუნოვიჩი, ბონდარევსკი-ფლორი, თანოვსკი-ბეკი, შტოლც-რაგოზინი, ლუნდინ-პირცი, პახმან-გლიგორიჩი, საბო-შტალბერგი.

სტოკჰოლმი, 19 ივლისი. (საკდესი). დღეს შესდგა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მესამე ტური. ბოლესლავსკი—ტრიფუნოვიჩის პარტია გადაიდო, ამასთან საბჭოთა გროსმაისტერს ერთით მეტი პაიკი ჰყავს ლილიენტალ-ბრონშტეინის პარტია ყაიმით დამთავრდა 25-ე სვლაზე.

კოტოვ-ტარტაკოვერის პარტია გადაიდო საბჭოთა გროსმაისტერის მოგების დიდი შანსებით.

ბონდარევსკი-ფლორის პარტიაში ფლორი უძლიერეს ცაიტნოტში მოექცა და 38-ე სვლაზე დრო გადააცილა.

შტოლც-რაგოზინის პარტია გადაიდო შტოლცის უკეთესი მდგომარეობით. ნაიდორფმა მოუგო შტეინერს.

თანაბარ მდგომარეობაში გადაიდო თანოვსკი-ბეკის პარტია. გლიგორიჩს ერთით მეტი პაიკი ჰყავს პახმანთან გათამაშებულ პარტიაში.

ყაიმით დამთავრდა საბო-შტალბერგისა და ლუნდინ-პირცის პარტიები.

20 ივლისს გათამაშდება მეოთხე ტური.

გუდაუთის რაიონში

სკოლების კაპიტალური რემონტი

ამჟამად დაკვრითი წესით მიმდინარეობს სოფელ ლიხნის ათწლედის ქვიტკირის ორსართულიანი შენობის კაპიტალური რემონტი. ამ სკოლას ექნება 10 ვრცელი საკლასო ოთახი, ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიისა და ისტორიის კარგად მოწყობილი კაბინეტები.

ასევე ჩქარი ტემპით სწარმოებს სოფელ ზვანდრიფშის, ანუხვას, აჩამიგრის, მუგურძიხვას, ჯირხვასა და ახალი ათონის სკოლების რემონტი, რომელიც სასწავლო წლის დასაწყისისათვის დამთავრდება.

საკოლმეურნეო კლუბები

სოფელ ოთხარაში ამას წინათ გაიხსნა საკოლმეურნეო კლუბი, რომელიც მომსახურებას უწევს ოთხ კოლმეურნეობას.

ასეთივე კლუბები გაიხსნა სოფელ დურიფშში, ლიხნში, ანჰანდარაში, გულანურხვაში, მცარასა და ანუხვაში. ყველა ამ კლუბებთან ჩამოყალიბებულია დრამატული, მომღერალთა და მოცეკვავეთა წრეები, რომლებიც სისტემატურად მართავენ საღამო-წარმოდგენებს.

ქოხ-სამკითხველოები

გუდაუთის რაიონის სოფლებში გახსნილია და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა 14 ქოხ-სამკითხველო. ყველა ამათ საკმაო რაოდენობით აქვთ როგორც პოლიტიკური, ისე მხატვრული ლიტერატურა ქართულ-რუსულ და აფხაზურ ენებზე. ეს ქოხ-სამკითხველოები დიდ მომსახურებას უწევენ კოლმეურნეებს განსაკუთრებით ხვნათესვისა და მოსავლის აღების პერიოდში.

ახალი წიგნი

„საბრძოლო დიდების ფურცლები“

გამომცემლობა „ზარია ვოსტოკამ“ რუსულ ენაზე გამოსცა მიხეილ დავითაშვილის ნარკვევთა კრებული „საბრძოლო დიდების ფურცლები“. წიგნში მოთხრობილია დიდ სამამულო ომში ქართველი ხალხის სახელოვან შვილთა საბრძოლო მამაცობა და გმირობა.

კრებული შესდგება ხუთი განყოფილებისაგან: I. მხედართუფროსები. ამ განყოფილებაში შეტანილია ნარკვევები ქართველი გენერლების კ. ნ. ლესელიძის, პ. გ. ჩანჩიბაძის, ვ. ვ. ნანეიშვილის, ვ. ნ. ჯანჯღავას და მ. გ. მიქელაძის შესახებ. II. მამაცობა და ოსტატობა, რომელშიც შედის ნარკვევები: „როგორ იქნა გადარჩენილი პოლკის დროშა“, „არქიტექტორი ფრონტზე“, „შეტევის გზებზე“. III. ხმელეთზე, ჰაერსა და ზღვაში. ამ განყოფილებაში შეტანილია ნარკვევები: „ანაპის დივიზიაში“, „არტილერისტები“, „მეზღვაურები“, „ტანკისტები“, „მფრინავები“, „რადისტები“, „მებრძოლი მეგობრები“, „საფრონტო ეპიზოდები“. IV. მტრის ზურგში. მასში შედის ნარკვევები: „უკრაინის მიწაზე“, „პარტიზანთა იარაღის გამომგონებელი“, „კოვპაკელები“, „იტალიის მთებში“, „ტრაგედია კუნძულ ტექსელზე“. V. ფაშისტთა ბუნაგში. მასში შეტანილია: „წარსულიდან“, „საზღვარზე“, „გერმანიის სიღრმეში“, „ბერლინის იერიში“, „გამარჯვების დროშა“. აღნიშნულის გარდა კრებულში შედის ორი ნარკვევი „შორეულ აღმოსავლეთში“ და „სამარადჟამო დიდება“.

წიგნს დართული აქვს დამატება: „ქართველი მეომრები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში (ამბების ქრონიკა)“.

კრებულს წამძღვარებული აქვს საბჭოთა კავშირის მარშალ თ. ი. ტოლბუხინის წინასიტყვაობა. წიგნის რედაქტორია ნ. ვ. პავჩინსკი.

ჩვენს დედაქალაქში

⊙ დღეს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში ბათუმის თეატრი გამართავს თავის საუკეთესო წარმოდგენას სოფოკლეს ტრაგედიას „მეფე ოიდიპოსი“.

⊙ საქკინმრეწვის კინოქრონიკების განყოფილებამ ამ დღეებში გამოუშვა ახალი კინოქრონიკა „ნორჩი თაობა“, რომელსაც წარმატებით უჩვენებენ დედაქალაქის ეკრანებზე.

⊙ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტმა წელს 850-ზე მეტი ახალი ექიმი გამოუშვა.

ელ. უბილავას ახალი მოთხრობების განხილვა

ამ დღეებში მწერალთა კავშირის პროზის სექციამ და ახალგაზრდა მწერლებთან მომუშავე კომისიამ მოაწყო ახალგაზრდა მწერალ ელიზბარ უბილავას ახალი მოთხრობების კითხვა-განხილვა.

მოხსენებით გამოვიდა მწერალი ქ. ლორთქიფანიძე. სიტყვები წარმოსთქვეს: დ. შენგელაიამ, ლ. ქიაჩელმა, ს. თავაძემ, ა. ლომიძემ, ლ. ავალიანმა და გ. შატბერაშვილმა.

მათ აღნიშნეს ამხ. უბილავას მოთხრობების თემატური მრავალფეროვანება, აქტუალობა და სხვა დადებითი თვისებები; ამავე დროს ავტორს მიუთითეს მთელ რიგ ნაკლოვანებებზე.

---

23 ივლისს, საღამოს 7 საათზე, სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში (25 თებერვლის ქ. № 2) მოწვეულია **მშრომელთა დეპუტატების თბილისის სტალინის რაიონული საბჭოს მესამე სესია.**

დეპუტატთა რეგისტრაცია იწარმოებს პარტკაბინეტში საღამოს 6 საათიდან.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე **ი. ნატროშვილი**

მოქალაქე ავქსენტი გიორგის-ძე ცაგარელმა, მცხოვრებმა თბილისში, კალანდაძის ქ. № 9, აღძრა საქმე გორკის ქ. № 25 მცხოვრებ მოქალაქე ია ივანეს ასულ გობეჩიასთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე სურენ გიორგის-ძე ჩახოიანმა, მცხოვრებმა შავი ზღვის ქ. № 1, აღძრა საქმე ენგელსის ქ. № 44 მცხოვრებ მოქალაქე ლიუციტა არამის ასულ ივანიანთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

მშობლები სოლომონ და ნინო, მეუღლე ქეთია, შვილი ტატიანა ბაბანოვები, დები სონია, თამარ, როზა ოჯახებით, სიმონ მეკინულოვი ოჯახით იუწყებიან **იაშა ბაბანოვის** გარდაცვალებას. გამოსვენება 21-VII, 6 ს. ივანიძის, 14.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან **დარეჯან ალექსის ასულ კვაშალის** გარდაცვალებას.

ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექცია, პარტორგანიზაცია და ადგილკომი იუწყებიან **ევგენია ივანეს ასულ კვირიკაძის** გარდაცვალებას.

შვილი გრიგოლ ჩეჩელაშვილი მეუღლით ოულიათი, შვილებით ოთარით, ვალოდიათი, ასმათით და ათინათი იუწყება **გიორგი გაბრიელის-ძე ჩეჩელაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-VII, 7 ს. ქ. ქუთაისში, მარის მე-7 შესახვ. 5.

მეუღლე ნინო, შვილები მარიამ, ბარბარე, ელენე და ირა, სიძეები კ. ვეფხვაძე, ა. ბაქრაძე, ა. სოლოვიოვი, რძალი თამარ სელიმხანოვა იუწყებიან ექიმ **ეპიფანე გიორგის-ძე შენგელიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-VII, 8 ს. გამოსვენება 22-VII, 6 ს. შაუმიანის, 2.

მშობლები ქეთო და კოტე, დები რუსიკო და შურა მაჭავარიანები, პიმენ ჩუბინიძე იუწყებიან **ზურაბ კონსტანტინეს-ძე მაჭავარიანის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-VII, 5 ს. დაბა წაღვერში (ბორჯომის რ.).

მეუღლე სულიკო კვასხვაძე, შვილი მანანა დაშნიანი იუწყებიან **გიორგი ვლადიმერის-ძე დაშნიანის** გარდაცვალებას.

„თბილსახკვებტრესტის“ თანამშრომლები ბ. გოცირიძე, ბ. ჩხეიძე, მ. მიქელაძე, მ. მახათაძე, ი. ხუხუნაშვილი, შ. გაფრინდაშვილი, ა. ბუსურაშვილი იუწყებიან **ელენე როსტომის ასულ თვარაძის** გარდაცვალებას.

ოყროშიძე, იმედაძე, ზარამიძე, ჩეხერია, რუხაძე, მეძმარიაშვილი, მალაღურაძე. პაჭკორია, მ. დოლიძე, ბერიევი იუწყებიან **დარეჯან კვაშალის** გარდაცვალებას.

მიხეილ, თამარ, ვახტანგ, ლილი ცაგარლები, ქეთო, ტერენტი საჯაიები იუწყებიან **გიორგი ვლადიმერის-ძე დაშნიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-VII, 8 ს. გამოსვენება 22-VII, 6 ს. ყვირილის, 2.

ამიერკავკასიის რკინიგზის ტუბდისპანსერის და ტუბსტაციონარის თანამშრომლები იუწყებიან **ევგენია ივანეს ასულ კვირიკაძის** გარდაცვალებას.

სრულიად საკავშირო დაუსწრებელი იურიდიული ინსტიტუტის თბილისის ფილიალის თანამშრომლები იუწყებიან **ზურაბ კონსტანტინეს-ძე მაჭავარიანის** გარდაცვალებას.

სადგურ ცხაკაიას საექიმო სასანიტარო უბნის ადმინისტრაცია და მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან **ლოლა ლევანის ასულ ხანაია-მიქავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა ცხაკაიაში.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის თანამშრომლები იუწყებიან რ. დავიდოვის დედის **დარია არტემის ასულ დავიდოვას** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის —3.08.67. სამდივნოსი—3.06.88. განყოფილებებისა: პროპაგანდის—3.82.05. პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3.81.84. სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი — 3.80.83. კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3.80.84. ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3.78.24. მორიგისა და გამომშვებისა — 3.81.65. გამომცემლობისა — 3.51.81. სტამბის დირექტორის—3.77.70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000 უე 00076